

მ ფ ყ ე მ ს ი

ოფიციალური ნაწილი.

ზიგა.

განჩინება უწყიდესის სინოდისა.

29 მარტიდან—7 აპრილამდე 1888 წლისა, № 716 სასულიერო პირთა დაჯილდოების უწყებამ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უქაზისა მეგრ, უწყიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა რა ეპარქიის მღვდელთ-მთაგრების და სასახლის სამღვდელოების გამგის წარმოდგინება მათდამი რწმუნებული სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის, **ბრძანეს**: საფუძველსა ზედა მომხდარ მსჯელობათა, უწყიდესმა სინოდმა გარდასწყვიტა: ამასთანავე შთადებულ სიასაშია მოხსენებული პირნი იქმნენ დაჯილდოებულნი სიაში მოხსენებული ჯილდოთი; რაზედაც ეპარქიის მღვდელთ-მთაგრების და სასახლის სამღვდელოების გამგეთ საცნობლად, ამ გვარ პირთა სია დაიბეჭდოს «საეკლესიო უწყებებში».

სია სასულიერო პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის დაჯილდოებულ იქმნენ უწყიდესის სინოდისაგან პასაჟის დღეს 1888 წელსი.

სამართველოს სამსახურისათვის: ა) აკჰამ.ნ. დრატის საჩისით—იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის, ძაცხის მაცხოვრის მონასტრის წინამძღვარი, იგუმენი ნიკიფორე; ბ) იგუმენის საჩისით—ბურია-სამეგრელოს ეპარქიის ნახარების ხარების მონასტრის ხაზინადარი, მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე; გ) დეკანოზობის საჩისით. ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, ბლაღოჩინი

მღვდელი პიცის თავარ-ანგელოზთ ეკლესიის სამსონ ანჯაფრამე; ამავე ეპარქიის, ბლაღოჩინი მღვდელი სუჟუნის წმ. ბიორგის ეკლესიისა სამონ ელიაზ; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის დ. ხონის, წმ. ბიორგის ეკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი ბესარიონ ჩხენკელი; დ) ბოქეზელი მეგრდის ჯვრით, უწყიდესი სანადისაგან: მართლის ეპარქიის, ქალ. ბაქოს ნიკოლაევის სობორის მღვდელი გიორგი ბლაღოვესტნიკოვი; ამავე ეპარქიის, ბორის მაზრის ატოცის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი სოლომონ დიდუბელი; ამავე ეპარქიის, თიონეთის მაზრის სოფლის ახმეტის ძვირიც და იელიტას ეკლესიის მღვდელი ვასილი წესტომოვი; ბურია-მინგრელიის ეპარქიის ხობის ღვთის-მშობლის მონასტრის ხაზინადარი, მღვდელ-მონაზონი ავტონი; ამავე ეპარქიის, საელი-აოს ხარლამპის ეკლესიის მღვდელი ლუკა ჟორდანიას; ამავე ეპარქიის, მკურეშის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ კრუშვილი; ამავე ეპარქიის ბანძა შაურის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი სავა გაბუნას; ბურია-მინგრელიის ეპარქიის ტაბაკონის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი დავით ადამას; იმერეთის ეპარქიის, ქალ. მუთაისის აღექსანდრე ნევის საკათედრო სობორის ბლაღოჩინი მღვდელი იოსებ ჭეიშვილი; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის სოფლის ატოცის ჯვარცმის ეკლესიის მღვდელი მაქსიმე კანდელაკი; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის სოფლის საწულიკიდოს ეკლესიის მღვდელი ზაქარია გოგალაშვილი; ე) კამილაკით: მართლის ეპარქიის თბილისის მაზრის, მარტყოფის სამების ეკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი ზეტრე ეპიტოვი; მართლის ეპარქიის, თბილისის მაზრის ღვთის-მშობლის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი ზაქარია ბარნოვი; მართლის ეპარქიის, თბილისის მაზრის მლისავეტოვსკის მუარველობის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი მასაიაძე; მართლის ეპარქიის, თბილისის მაზრის, ბარმასისკის მღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი ზაქარია კატანო-

ვა; ქართლის ეპარქიის, ბორის მაზრის, ღარბის უე-
ოდოსიის მღვდელი ზეტრე სამადიდო; ქართლის
ეპარქიის, ბორის მაზრის, ძეგვის საშენის ეკლესიის
მღვდელი ზაქარია სევა; ქართლის ეპარქიის, ლუშეთის
მაზრის მხადრ-ჯგერის მთავარ-ანგელოზთ ეკლესიის
მღვდელი აბაშა ზაქარია; ქართლის ეპარქიის, ლუშე-
თის მაზრის, ნაგორევის წმ. ბიორგის ეკლესიის
მღვდელი იოანე ადგანო; ქართლის ეპარქიის, თე-
ლავის მაზრის შაშიანის მიძინების ეკლესიის მღვდელი
ილია შაგო; ქართლის ეპარქიის, სიღნაღის მაზრის
ზემო მაჩხანის მეორე წმ. ბიორგის ეკლესიის მღვ-
დელი მენტეშო; ქართლის ეპარქიის, სიღნაღის
მაზრის ქელმეგურის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდ-
ელი გრიგოლ სიგურაძე; მლადიკავკის ეპარქიის, თერ-
გის სამფლობელოსა, წმ. ბიორგის დედათ მონასტრის
მღვდელი მ. სე. ღ. ღასტაჩიანი; მლადიკავკის ეპარ-
ქიის, თერგის სამფლობელოს, პომა და დამიანეს
სობოროს ქალ. ბოზნის, მღვდელი მისეილ ორდო-
ვა; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, ნიგოთის წმ.
ბიორგის ეკლესიის ბლადოჩინი მღვდელი ექთიმე
კაჭანდარიშვილი; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, ლან-
ჩუთის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი ფილიპე
ბაქრაძე; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, ჩოხეთის წმ.
ბიორგის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ხუნდაძე; ბუ-
რია-სამეგრელოს ეპარქიის, მარტვილის მიძინების
სობოროს მღვდელი სიმონ კაჭანდარი; ბურია-სამე-
გრელოს ეპარქიის პოცხერის ღვთის მშობლის ეკლე-
სიის მღვდელი ეგნატე ტაფარაძე; იმერეთის ეპარ-
ქიის, ჭუთაისის მაზრის, სოფლის შუა-მეტირის წმ.
ბიორგის ეკლესიის მღვდელი დავით ნასრაძე; იმერე-
თის ეპარქიის, ჭუთაისის მაზრის, სოფლის ზემო-მალ-
ლაკის, მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი ეგნატე ტე-
შელაშვილი; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის მაზრის,
სოფლის უსახელოს, თავარ-ანგელოზთ ეკლესიის
მღვდელი ანტონ კაჭანდარი; იმერეთის ეპარქიის, ჭუ-
თაისის მაზრის სოფლის ძეგლეთის, ღვთის მშობლის
ეკლესიის მღვდელი გიორგი კანდელაკი; იმერეთის
ეპარქიის, ჭუთაისის მაზრის, სოფლის მუხაყრუას
ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი დეკა თებაძე;
იმერეთის ეპარქიის, ჭუთაისის მაზრის, სოფლის ზე-
მო-მეტირის თავარ ანგელოზთ ეკლესიის მღვდელი
მასკე შაკუღაძე; ე) სეუშიათა: ქართლის ეპარქიის,
ქალ. თბილისის მარქმის ეკლესიის მღვდელი დავით
ბეძენო; ქართლის ეპარქიის ქ. თბილისის წმ. ან-
დრია პირველ წოდებულის ეკლესიის მღვდელი მათე
მანასეაძე; ქართლის ეპარქიის, ქ. ბაქოს, ნიკოლო-

ზის სობოროს მღვდელი ბიძია გაბაქაძე; ქართლის
ეპარქიის, ქალაქ ბორის ღვთის-მშობლის ეკლე-
სიის მღვდელი თამა ხაჩნო; ქართლის ეპარ-
ქიის, თბილისის მაზრის, ბაშკევის ორმოც მო-
წამეთა ეკლესიის მღვდელი იოანე კაჭანო; ქარ-
თლის ეპარქიის, ბორის მაზრის, ქვეთისხევის თავარ-
ანგელოზთ ეკლესიის მღვდელი სვიმონ ინდუევი;
ქართლის ეპარქიის, სიღნაღის მაზრის, ბოდბის-ხევის
მიძინების ეკლესიის მღვდელი საანასე ბენაშვილი;
ქართლის ეპარქიის, ლუშეთის მაზრის, ჩელუთ ები-
ნისკოის მარინეს ეკლესიის მღვდელი ზარდუიშე ღო-
მიძე; ქართლის ეპარქიის, ლუშეთის მაზრის მცხეთის
სამთავრის დედათ მონასტრის მღვდელი სტეფანე ბე-
რაძე; ქართლის ეპარქიის, თოანეთის მაზრის, სოფლის
ბურგელქლის, წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი
ზაქარია ჩაგატო; ქართლის ეპარქიის, თელავის მაზ-
რის ღარტლოვის იოანე-ნათლის მცემლის ეკლე-
სიის მღვდელი იოანე მენტეშო; მლადიკავკის ეპარ-
ქიის, თერგის სამფლობელოს, სოფლის ჩორნი-რინ-
კის ნიკოლოვის ეკლესიის მღვდელი კასილი გლუხა-
რევა; მლადიკავკის ეპარქიის, ქალ. ბეორგიევსკის
ამაღლების ეკლესიის მღვდელი სიმონ ზაგატაძე;
მლადიკავკის ეპარქიის, ბოზნის მაზრის, თერგის
სამფლობელოსი ნაურსკისსტანიცის ქრისტეს-დაბადების
ეკლესიის მღვდელი კასილი კონდრატო; ბურია-სა-
მეგრელოს ეპარქიის, სამიქაოს წმ. ბიორგის ეკლე-
სიის მღვდელი იოანე ბაგრაძე; ბურია-სამეგრელოს
ეპარქიის, ახუთის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი
ოქტაშიშ კიკია; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, რიკის
წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი მაქსიმე სეანგა;
ბურია-სამეგრელოს ეპარქიის მამათის წმ. იაკობ
მოციქულის ეკლესიის მღვდელი თედორე სელაძე;
ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, პოცხერის ღვთის-მშობ-
ლის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ ტაფარაძე;
ბურია-სამეგრელოს ლეიხანდრავო-ნადგახევის მთა-
ვარ ანგელოზთ ეკლესიის მღვდელი მათე დანელია; ბურია-სამე-
გრელოს ეპარქიის, საგეშიანის წმ. ბიორგის ეკლე-
სიის მღვდელი ისიდორე ბაბაღუა; ბურია-სამეგრელოს
ეპარქიის, ბეჯეთის თავარ ანგელოზთ ეკლესიის მღვ-
დელი კაჭანდარი; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, ლატა-
ლის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი გიორგი კიმი-
სტაძე; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, პარც-
ხის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი
ცინცაძე; იმერეთის ეპარქიის, ჭუთაისის მაზრის, სოფ-
ლის ტულაშის იოაკიმ და ანნას ეკლესიის მღვდელი
იოსებ კანდელაკი; იმერეთის ეპარქიის, ჭუთაისის მაზ-

რის, ჯიხაიშის, წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ნემსაძე; იმერეთის ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფლის ღარაზის, წმ. ბიორგის ეკლესიის ბლ. მღვდელი ერასტოზ კიკნაძე; იმერეთის ეპარქიის შორაპნის მაზრის, სოფლის ითხისის ნათლისმცემლის ეკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი იოსებ წერეთელი; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის, სოფლის საყულიას მთავარ-ანგელოზთ ეკლესიის მღვდელი ზაქარია სვანაძე; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის, სოფლის მერიტორის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი სპარაფონ წიქრიძე; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის, სოფლის ზემო-მალაქის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი სიმონ ათაბაგი; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის, მუთაისის მწვანე ყვავილის მთავარ-ანგელოზთ ეკლესიის მღვდელი დავით შეღავა; იმერეთის ეპარქიის, მუთაისის მაზრის, სოფლის მერიტორის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი თეოდორე და ზ) უწმიდესი სინოდის კურთხევა უგრძელვად: მართლის ეპარქიის, ქალაქ თბილისის საკათედრო სიონის მიძინების სობოროს მანდელაკი მღვდელი გრიგოლ პეტრიკი; მართლის ეპარქიის, ღუშეთის მაზრის მცხეთის ათთორმეტთა წმ. მოციქულთა სობოროს დეკანოზი რომანოზ მრევლოვი; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის ნამარნევის იოანე ნათლის მცემლის მონასტრის ბრ. მონაზონი ისიდორე; იმერეთის ეპარქიის, რაჭის მაზრის, დ. მნის, წმ. ბიორგის ეკლესიის დეკანოზი ალექსი გოგოზაძე; ქალაქ თბილისის სიონის საკათედრო სობოროს მღვდელი კასილი აუშვი; ბურია-სამეგრელოს ეპარქიის, ბლაღოჩინი მღვდელი სენაკის წმ. ბიორგის ეკლესიის ნიკოლოზ კალანდარიშვილი; და მუთაისის მაზრის, დ. ხონის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი კასილი ქუთათელაძე.

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელთაც, სამხედრო და სამოქალაქო უწყებაში სამსახური სისათვის მიიღეს ჯილდო უწყიდესი სინოდისაგან პასეჟის დღეს 1888 წელსა.

სამართლმცოდნეობის სამსახურის მ. ბ) დეკანოზობის სარისხით—თბილისის დიდი მთავრინა მღვდელ-სიმონის სასულიერო სასახლეში გიმნაზიის საღმრთო-სჯულის მასწავლებელი იოანე სტასი; და ბ) გულის ჯვრით, რომელიც ეძლევათ უწმიდესი სინოდისაგან: ღვთაების ქალაქის წმ. ბიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრეობოლესკი; მლაღიკავის ეპარქიის,

მერგის სამფლობელოს, პიატიგორსკის მაცხოვრის მღვდელი ალექსანდრე კოსიმოვი და მლიზვეტოპოლის ქალაქის ეკლესიის მღვდელი მისიელ მინაროვი.

გაგასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების უმაღლესად დამტკიცებული წესდების ბ-9 § მეცვალზე.

ამა წლის 29 იანვარს ხელმწიფე იმპერატორმა, თანხმად მინისტრთა დეკრეტისა, უმაღლესად ბრძანა: § 9 უმაღლესად დამტკიცებულის 10 თებერვლიდან 1885 წლისა გაგასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების წესდების იქმნეს შეცვლილი შემდეგის სახით: საზოგადოების პირველი და მეორე რიგის წევრნი დამტკიცებულ იქმნენ მათ თანამდებობაში უმაღლესა მთავრობისაგან, წარდგინებისა მებრ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისა, სოფო წევრნი მესამე და მეოთხე რიგისა დამტკიცებულ იქმნენ საზოგადოების რჩევისაგან. ოთხეუ რიგის წევრებს დიპლომები ხელმოწერილი უნდა იქმნენ თავსმჯდომარისაგან, თავსმჯდომარის მოადგილესაგან და ზედ დასმულ უნდა იქმნეს საზოგადოების ბეჭედი.

სასულიერო უწყების დედა სასწავლებლების მოწაფე ქალებსათვის საეკლესიო შესამოსელთა კერვის სწავლება შესახებ.

თანხი სოფეჟნიკა მომ გეცნობა, რომ მისმა უდიდებულესობამ, ხელმწიფე იმპერატორსა სიამოვნებით მოიხმინა, რომ პოდოლის სასულიერო უწყების დედათ სასწავლებლის უმუროსი ქალი ასწავლის მოსწავლე ქალებს საეკლესიო შესამოსელების კერვას და უმოწავლესად ინება, რათა სასულიერო უწყების სხვა ამ გვარ სასწავლებლებმაც მიჰმადონ ამ საქმეზე მხატვრობით. წინადადება მებრ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისა დღეინდა 1 აპრილს 1888 წ. № 4: მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორს სურვილი, რათა მზგავსად პოდოლის სასულიერო უწყების დედათ სასწავლებლისა სხვა ამ გვარ სასწავლებლებშიდაც იქმნეს შემოღებული საეკლესიო შესამოსელების კერვა, ეცნობოს უქმნებით ეპარქიების მღვდელთ-მთავრებს, რათამათ გვერდანი განკარგულება მოახდინონ ამ საქმის შესახებ.

ი ს უ ი დ ე გ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი
და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიჭუროვის, ჩარკვიანის და
ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში:
ძმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში, შვირი-
ლაში: თვით გამომცემელთან და ხონში:
წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს საეკლესიო

ისტორია,

ფასი უფრო—ცხრა შაური

ქართული ლოცვანი,

თვეთა მეტყველობით, ქორონიკონით და მართლ-მადი-
დებელი ეპაღესიის უმთავრესი დღესასწაულების ისტო-
რიული მოთხრობით.

ფასი უფრო 30 კ. და უფრო 45 კ.

ახალი კარბადინი

ფასი ერთი მანეთი.

ეს წიგნი განხილული და ნება დართულია კავკასიის
საეპიშოპოსოსი რევიზიასაგან.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულე-
ბის დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი უფრო ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა

წესდებულები,

ფასი უფრო—50 კ. და უფრო 40 კ.

მცხეთის ტაძარი

და

წმიდა ნინო,

ქართულთ განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

გაენათის მონასტერი

და ცხოვრების ადწერა მეფის

დავით აღმაშენებლისა.

ფასი ექვსი შაური.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის
წიგნაკები:

ვასილი დიდი, სიწმითით.—ფასი 2 კ.

*

მიჩქაუშვილისა, სუწითით.—ფასი 2 კ.

*

დიდ.მარხვის წინ სუწითით.—ფასი 2 კ.

*

ხარება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა.
სუწითით.—ფასი 2 კ.

*

ბოზბა სუწითით —ფასი 2 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნანღებ
ერთი თუნისას, მას მანეთზე დაეთმობა სამი შაური.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცა-
ლისა, ის ფოსტის გასბგზანს არ ისდის.

რედაქციაში იმეოვნებიან გვალა ნომრები 1887 წლის
„მწყემსი“-სა უფრო 4 მ. და დესული გამოცემა უფრო 3 მ.

ბლაღოჩინების საყურადღებოდ

ზღაღოჩინებს, რომელნიც მთელი საზღაღოჩინოს
ეკლესიებისათვის დაიბარებენ შავი მეტრიკის და აღსა-
რების სიებისათვის საქარო ბლანკებს, თითო კაპ.
გაეგზავნება ფურცელი სხენებულს საბუთებისა.

მშვემსი

1883-1888

— «მშვემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის იხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში. —

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მშვემსი»		«მშვემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	5 მან.	12 თვით . . .	6 მან.
6 — . . .	3 —	6 — . . .	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Копенгагенъ, Въ редакцію „Мижмси“ (Пастырск).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაჰის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ახალი ჯომავი საჰართველთს სამღვდელთაგან ნაყოფიერი მსახურებისა და მომადლობისათვის მის მშვემსებრივ ასპარეზზე.

საზოგადო ღვთის-მსახურება, რომელიც სრულდება მღვდელ-მოსამსახურეთაგან ტაძრებში სამწყსოთა შესაგრებლად, რათა ისინი შეეცდნენ ღმერთს თავიანთ საჭიროებაზე, არის ნამდვილი და უძლიერესი საშუალება, რომლის მეოხებით შეგვიძლია გავაძლიეროთ, ავღზარდოთ და განვავითაროთ ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობა და თვით სარწმუნოება. ტაძარში ყოველი წევრი ეკლესიისა ცხადათა გრძნობს, რომ იგი არის წევრი ეკლესიისა, ტაძარში ყოველი მლოცველი ნათლად გრძნობს გულში შინაგან მოძრაობას, რათა საქმით განახორციელოს ყველა თავისი მოვალეობანი ღვთისა და მოყვანისადმი, რომელსაც ვაღადავდებ მას წმ. სახარებას. საერთო-საეკლესიო ღვთის-მსახურება უდრის სკოლას, სადაც ხალხი ნამდვილი და თვალსაჩინო მაგალითების შემწეობით სწავლობს ღვთის

სჯულს, რომელიც გარდაეცემა მას დაბიურის ენით. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ რამდენათაც ხალხი უფრო ეჩვევა ტაძრებში ხშირად სიარულს ღვთის-მსახურების მოსასმენად, იმდენად ამ ხალხში ძლიერდება სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი; წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენათაც ხალხი ნაკლებად დაიარება ტაძრებში ღვთის-მსახურებათა მოსასმენად, იმდენად უფრო გულ-გრილად ეპყრობა იგი სარწმუნოების შესახებ საქმეებს, დავიწყებული აქვს სული და ემეტესად ზრუნავს ამა წუთი-სოფლის საქმეებზე. ამას კარგადა გრძნობდნენ ძველ დროში და ხალხიც ბლომად დაიარებოდა ტაძრებში საზოგადო ღვთის-მსახურების მოსასმენად, მღვდლებიც ამ დროს უფრო ხშირად და უფრო ერთგულებით ასრულებდნენ ტაძრებში ღვთის-მსახურებას. დღესაც ბევრი ჩვენში ძველი დროის ტაძრები, რომელთა ეკუთვნის არის თითოეულ ტრაპეზი. რა საჭირო იყო ერთ ტაძარში ამდენი ტრაპეზები და დღეს რა მიზეზია, რომ ერთი ტრაპეზის მეტს არ აკეთებენ ეკლესიებში? საქმე ემაშია,

რომ ძველ დროში მღვდელ-მოსამსახურენი არ გამოყოფილდებოდნენ ერთ ტაძარში მარტო ერთი წირვის შესრულებით დღეში: ერთი მღვდელი რომ ერთ ტრაპეზზე ასრულებდა წირვას დილით ადრე, მეორე უფრო გვიან შეუდგებოდა წირვას მეორე ტრაპეზზე; მლოცველები როგორც პირველზე, ისე მეორე წირვაზედაც ბლომად დაიარებოდნენ: ასე გულ მოდგინებით ასრულებდნენ მღვდლები ძველ დროში ღვთის-მსახურებას და ხალხსაც ამისათვის უყვარდა ტაძრებში სიარული.

დღეს რაღას ვხედავთ? ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ, მღვდელ-მოსამსახურენი, არა თუ ორჯერ და სამჯერ არა ვსწირავთ ხოლმე რიგ-რიგობით ერთსა და იმავე ეკლესიაში ყოველ დღეს, არამედ კვირაში ერთხელაც გვეზარება წირვა ჩვენს ეკლესიებში. ხშირად კვირა-დღესასწაულ დღეებშიაც კი არა ვსწირავთ ხოლმე სულ უბრალო და არა პატივსაცემი მიზეზებისა გამო. დროა ურადდება მივაქციოთ ამ მოვლენას, დროა შევიგნოთ, რომ ჩვენგნით ხშირად ღვთის-მსახურების ტაძრებში შეუსრულებლობა ამტკიცებს, რომ ჩვენ გულით და სულით არ ვეკიდებით ჩვენი სადმოთ მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას. თავამად შეგვიძლია ადვილათ, რომ იმ მღვდელმა, რომელმაც თავის სამწყსოს გულში და სულში ადრე სურვილი ტაძრებში სიარულისა ღვთის-მსახურების მოსასმენად და ღვთის ვედრების საჭიროება, თითქმის ნახევრობით შეასრულა თავისი მოვალეობა, რადგან მან თავის მოქმედებით ზნეობითად აღმაღლა თავისი სამწყსო და განავითარა; სახარების სიტყვას და ქრისტეს ზნეობრივ სწავლა-დარიგებას ისე მტკიცედ არსად არ შეუძლია გაიღვას ფესვი, როგორც ღვთის მავედრებელი კაცის გულში და სულში. მაგრამ რა ზომები უნდა იხმაროს მღვდელმა, რომ რაც შეიძლება ბევრი მლოცველები დაიარებოდნენ ეკლესიებში? ჩვენის ფიქრით, ამისათვის უპირველესად საჭიროა ღვთის-მსახურების ტაძრებში ხშირად შესრულება და ამ ღვთის-მსახურებათა სრულის კრძალულებით და გულისთქმით შესრულება სამღვდელოების მხრით; ამისათვის საჭიროა აგრეთვე, რომ ეკლესიაც შეძლებისა და გვარად, გვერდეს მოწყობილი და

მორთული ისე, რომ ამ მოწყობილებამ და მორთულობამ ადრეას მლოცველებში კრძალულება და ღვთის-ვედრების სურვილი.

მაგრამ უბედურება ის არის, როცა სამწყსო ნიშნავს, რომ მღვდელი სრული კრძალულებით და გულით არ ასრულებს ღვთის-მსახურებას. ხშირად ზოგიერთი მღვდლები თვით ღვთის-მსახურების დროს თავისუფლად ემუსაიფებიან ხოლმე ტაძრებში გარეშე პირებს.

მლოცველების ტაძრებში მოსაზიდავად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქადაგებითი სიტყვასაც, თუ ეს ქადაგებანი და მოძღვრებანი წარმოთქმულ იქნებიან ხალხის გასაგონ ენაზე და ამ ქადაგებათა და მოძღვრებათა საგანიც ადრეულ იქნება თვით ხალხის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ცხოვრებიდან. მაგრამ ჩვენ, მღვდლები, ვხმარობთ ამ ნამდვილ ზომას? სამწუხაროდ, არა. ზოგი ჩვენგანი, მაინცა-და-მაინც, დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ქადაგებითი სიტყვას და ამტკიცებს, რომ ქადაგებითი სიტყვისათვის ჯერ ნიადაგი არ არის მომზადებული მივარდნილ და მიურეებულ სოფლების მკვიდრთა შორის, რომელთაც არ შეუძლიათ მოისმინონ და გაიგონ ქადაგების შინაარსი; ამიტომაც ასეთი მღვდლები ასრულებენ მარტო ღვთის-მსახურებას და სხვადასხვა მღვდელ მოქმედებათა და ფიქრობენ, რომ ამით მტკიცედ და უნაკლულოდ ასრულებენ თავიანთ საღვთო მოვალეობას. ხოლო ზოგიერთი ჩვენგანი თუმცა დიდ მნიშვნელობას აძლევს ქადაგებითი სიტყვას, მაგრამ არ ქადაგობენ და თავს იმიით იმართლებენ, რომ მათ სასწავლებელში უკლა საგნებს ასწავლიდნენ რუსულს ენაზე და ამიტომ დღეს ქართულს ენაზე ქადაგების შედგენა და წარმოთქმა უჭირსთ. ჩვენის აზრით, როგორც პირველნი, ისე მეორენიც ცდებიან. მივარდნილს და მიურეებულს ადგილებში ჯერ გაუნათლებელ ხალხთა შორის უფრო ვრცელი და ნამდვილი ნიადაგია ქადაგებითი სიტყვისათვის: თითოეული სიტყვა, რომელიც მოხერხებულად იქნება წარმოთქმული გაუნათლებელ, მაგრამ მორწმუნე ხალხის წინაშე, მოიტანს დიდს ნაყოფს. ამიტომ დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მღვდელს, როცა ასეთ ადგილებში და ასეთ ხალხის წინაშე არ ქადაგობს და არ ასწავ

ვებს სამწყსოს ქრისტეს სწავლას. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლა-მოძღვრებასთან ერთად მღვდელს შეუძლია თავის ქადაგებაში აუხსნას გაუნათლებელ ხალხს ბევრი რამ მისი ცხოვრებადამ და ბუნების მოვლენიდან, რომელთა უცოდინარობა ჰბადავს უბრალო და გაუნათლებელ ხალხში სხვა-და-სხვა დამღუპველ ჩვეულებათა და ამოდ მორწმუნეობათა, მაშინ ცხადი იქნება ყველასათვის, რომ მოხერხებულ მქადაგებელს მივარდნილი და მიურუებელი ადგილების მკვიდრთათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამისთანა ადგილებში მღვდელს თავისი სწავლა მოძღვრებით შეუძლია თავისი გაუნათლებელი სამწყსო გონებითად წინ წასწიოს და ზნეობითად აღამაღლოს.

ვერც ქართული ენის უცოდინარობით გაიმარჯლებენ თავს ზოგიერთნი ჩვენი თანამოძმენი და ვერ გაინთავისუფლებენ თავს ქადაგებითი სიტუციის წარმოთქმისაგან. ჩვენც სრული თანახმანი ვართ, რომ სასწავლებელში საჭიროა ასწავლიდნენ მოწაფეებს მათ სამშობლო ენას, რომ მათ, როცა მღვდლად ეკურთხებიან, უფრო ადვილად შეიძლოს ქადაგებათა წარმოთქმა. სამშობლო ენის კარგად ცოდნა მით უმეტეს საჭიროა, რომ უოველივე სიტუცა მოძღვრებას დიდ მნიშვნელობას აძლევს აზრის რიგიანად დაწყობა და კარგის ენით წარმოთქმა. ეს ნაკლი დღეს სემინარიაში ყველა კურს დამთავრებულთ ემჩნევათ, მაგრამ ეს არც ისე დიდი ნაკლია, რომ კაცმა ვერ გაასწოროს, სურვილი იყოს და ამ ნაკლს ადვილად სძლევს ყველა ჩვენგანი სასწავლებლების გარეშეც.

საჭიროა მხოლოდ, რომ ამისთანა პირებმა ბეჯითად იკითხონ ქართული წიგნები და თვალყური ადევნონ ჩვენს ეურნალ-გაზეთებს. რომ სასწავლებლების გარეშეც შეიძლება ქართული ენის კარგად შესწავლა, ეს დაამტკიცა ჩვენმა გამოჩენილმა მქადაგებელმა, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და ბევრმა სხვა პირებმაც, რომელთაც სასწავლებლებში, მართალია, არ უსწავლიათ ქართული ენა, მაგრამ სასწავლებლებში სწავლის დამთავრების შემდეგ, ცხოვრებაში თავიანთი მუყაითი მკვადინეობით შეუსწავლიათ

სამშობლო ენა ისე, რომ დღეს ეს პირნი მშვენიერად ღაპარაკობენ და სწერენ ამ ენაზე. მაშასადამე, უმთავრესი მიზეზი მისა, რომ ზოგიერთი ჩვენი მღვდლები, უმეტესად სემინარიაში კურს დასრულებულნი, არ ქადაგობენ, არის არა ქართული ენის უცოდინარობა, არამედ დაუდევრობა. ამისთანა პირნი კმაყოფილებიან იმით, რაც სასწავლებელში ისწავლეს და ცხოვრებაში სრულებითად არ მკვადინობენ თავიანთი თავის განვითარებაზე. რაიმე წიგნის წაკითხვა დიდ ცოდვად მიაჩნიათ და ქართული ეურნალ-გაზეთების არსებობა არც კი იციან ზოგიერთებმა. დროა შეიგნონ ამისთანა პირებმა, რომ მართლ ერთი დიპლომათი შიშის ვერ წავლენ ცხოვრებაში, როგორც ეს ცხადად და აშკარად დაამტკიცა ბევრმა თავის ცხოვრებით.

დოქ. დ. ღამბაშიძე.

ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენელთა კრება 4. თბილისში.

(გაგზავლება *).

მეექვსე კითხვა, რომელზედაც სამღვდლოების კრებას ჰქონდა მსჯელობა, იყო შემდეგი: საეკლესიო საბუთების სისწორით და სინამდვილით წესა და წესობა. მართლ მხრით სწორეთ სამწყსარო იყო ზოგიერთი დებუტატების მსჯელობის მოსმენა ამ საქმის შესახებ. ამ მსჯელობისაგან ცხადათ და აშკარად იხედებოდა, რომ ზოგიერთ დებუტატებს, უმეტესად სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულთ, არა სკოლნიათ საეკლესიო საბუთების შედგენა. არა სკოლნიათ, თითოეულ სტატიას უნდა აწერდნენ ხელს, თუ ბოლოს, ყველა სტატიების გათავებისას. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ბევრ დებუტატებს არა სკოლნიათ, თუ რომელი სახელია წმიდანისა და რომელი არა. არა სკოლნიათ ზოგიერთებს, თუ როგორ უნდა ჩასწერონ მეტრიკაში უკანონოდ დაბადებული და მარჩბინი. როცა იწყეს ბაასი მასზედ, რომ

*) ის. „მწყემსი“ № 6 1888 წ.

განათლულნი, ჯვარ-დაწერილნი და გარდაცვალებულნი უსათუოდ მღვდელ-მოქმედების შეკრულებისათანავე უნდა ჩასწერონ მეტრიკაში, აქ უფრო სასაციო აზრები გამოითქვა. ზოგიერთი დეპუტატები ამტკიცებდნენ, რომ მეტრიკის ტარება ყოველ მღვდელ-მოქმედების აღსრულებაზე ძლიერ საძნელო არისო, რადგან ხან-დის-ხან ისეთ ადგილას ასრულებინებენ მღვდელს რომელიმე მღვდელ-მოქმედებას, სადაც მეტრიკა კი არა არავითარიმე სხვა საეკლესიო ნივთი არა აქვს თანაო. ამ საგნის შესახებ ბლალოხინმა ლიაძემ სთხოვა თავს მჯდომარეს სიტყვის ნება: აი მისი სიტყვა დაახლოებით: «ვეგონებ ყველანი დამეთანხმებით, რომ საეკლესიო საბუთების შედგენა ბევრს ჩვენგანს უძნელდება; მაგრამ ეს სულ სხვა კითხვა არის და მე ამაზედ არასფერს არ ვიტყვი. ჩვენ ვალდებული ვართ გვხდინა, რომ მღვდელ-მოქმედების აღსრულება, მაგალითებრ: ნათელა, ქორწინება და დასაფლავება, შესრულებისათანავე ჩაესწეროს მეტრიკაში. ეს, როგორც ზოგიერთი დეპუტატებისაგან მოვისმინეთ, ძლიერ საძნელო არის, რადგან ხშირად მიცვალებულების წესის ასაგებად და მოსანათლავედ ოჯახებში იწოდებენ მღვდლებს, რომელთაც ხშირად ავიწყლებათ ხოლმე მეტრიკის თან წაღება. მე გამოვიგონე ერთი საშუალება და ზომა, რომლის წყალობით არავინ აღარ მრჩება ჩაუწერილი მეტრიკაში. ამ საშუალების ხმარებას ურჩევ მე ჩემ მოძმეებსაც, თუ არა სურსთ მათ, რომ მონათლულნი, ჯვარ-დაწერილნი და გარდაცვალებულნი არ დარჩნენ ჩაუწერილნი მეტრიკაში». შემდეგ ამ საშუალების სარგებლობაზე დიდ ხანს ილაპარაკა მ. ლიაძემ. დეპუტატები ისმენდნენ მის მსჯელობას და ეგონათ, რომ რაღაც უებარი საშუალება გამოუგონებიაო. «ბი ის ზომა, რომლის ხმარებას მე ურჩევ ჩემ თანამოძმეებს, განაგრძო მ. ლიაძე, რომ არც ერთი მღვდელი არ ჩავარდეს შეცდომაში და მეტრიკაში ჩაუწერლად არავინ განუტყვოს. რა მღვდელ-მოქმედების აღსასრულებლათაც უნდა წაიყვანონ მღვდელი, არ შეიძლება, რომ მას კუროთხევანის წაღება დაევიწყდეს. მე ვიყიდე რვა ფურცელი საწერი ქაღალდი, შეგვეცე და კუროთხევანში ჩავაკრე. როდესაც მღვდელ-მოქმედებას ვასრულებ ხოლმე, კუროთხევანში უნებლიეთ ვხედავ ამ ჩაკრებულ ქაღალდს და მაშინვე მაგონდება ის, რისთვისაც მაქვს ეს ქაღალდი ჩაკრებული. ბახსენებისათანავე, ამ ქაღალდზედ ვნიშნავ მონათლულებს, ჯვარ-დაწერილებს და გარდაცვალებულთა და შემდეგ აქედან

მეტრიკაში გადამაქვს ხოლმე. ამ ზომის წყალობით მე არავინ არ მრჩება დაუწერილი; ეს საშუალება ძლიერ კარგი აღმოჩნდა ჩემთვის და იმედი მაქვს, რომ იგი სხვა ჩემ თანამოძმეებსაც დიდ შემწეობას აღმოუჩენს მეტრიკის სისწორით წარმოებას საქმეში». თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა კრებაზე ეს სიტყვა, ამას უჩვენოთაც ყველანი კარგად მიხვდებიან.

მითქმის ამ საგანზედ ბასი გათავდა, როცა დეკანოზმა ღვით ღამაშიდემ ითხოვა სიტყვის თქმის ნება თავს-ჯდომარისაგან. ნების მიღების შემდეგ მან წარმოსთქვა შემდეგი: «ზოგიერთი დეპუტატებისაგან გამოთქმულმა მსჯელობამ მეტად გამაკვირვა. აქამდის არასფერი მოგახსენეთ, რადგან იმედი მქონდა, რომ რომელიმე ბლალოხინი, ან დეპუტატი იტყვოდა რასმეს ერთი წიგნის შესახებ, რომელიც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტარის განკარგულებით ყველა ეკლესიას გაურიგდა; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამ წიგნზე არც ერთმა დეპუტატმა კრებისამ ერთი სიტყვაც არა სთქვა. წინაზე მე მოგახსენეთ თქვენ, რომ ჩვენ, მღვდლები, სრულებით უურადლებას არ ვაქცევთ იმისთანა საგნებს, რომელნიც ჩვენ დაგვცხმარებიან ჩვენი მოვალეობის რიგაანად აღსრულებაში, არ გვინდა რიგაანად შევისწავლოთ ჩვენი მოვალეობის აღსრულება, არ გვინდა წავიკითხოთ ის წიგნები, რომლებიც დაურიგდა ეკლესიებს და რომლებშიაც, სხვათა შორის, დაწერილებით არიან განმარტებულნი, თუ როგორ უნდა ვადგენდეთ საეკლესიო საბუთებს და ან როგორ უნდა ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას. ბევრი რამ სასარგებლო წიგნები, დარიგებანი და მოძღვრებანი არიან მოპოვებული ეკლესიების საშუალებით მღვდელთა სახელმძღვანელოდ, მაგრამ ბევრს ადგილას ამ წიგნებს არავინ არ კითხულობს. ეს წიგნები ფურცლებ დაუჭრელნი გდიან უუურადლებოდ ეკლესიის შკაფში და ზოგან, სადაც შკაფები არ ეშაფებათ, ეს წიგნები ვიროთებისა და თავიების სურსათად ხდება. მე ძლიერ გამაკვირვა ზოგიერთი დეპუტატების და განსაკუთრებით მ. ბლალ. ლ. მჯელობამ; ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მათ არ იციან კარგად, თითოეულ სტატიაზე უნდა მოაწერონ ხელი, თუ მარტო ერთხელ, სტატიების გამოთვს. აგრეთვე ბევრს საძნელოდ მიაჩნია წმიდანების სახელის შეტყობაც. 1876 წელში ჩვენ შევადგინეთ ერთი პატარა სახელმძღვანელო წიგნი, მღვდელთათვის. ამ წიგნში ცხადათ და გარკვევით არის აღხსნილი ყველა ის საეკლეო კითხვები, რომელნიც აქ

გამოითქვა ზოგიერთ დებუტატებისაგან; ამ წიგნში, განსაკუთრებით, არის ახსნილი და განმარტებული ზოგიერთი კითხვები ქორწინების და ნათელის შესახებ; მასში აგრეთვე განმარტებულია, თუ როგორ უნდა აწარმოვას მღვდელმა საეკლესიო საბუთები. მინც ამ წიგნს წაიკითხავს, ის ადვილად გაიგებს და შეიტყობს სასიძოხსა და სასძლოხს შორის ნათესაობას, გაიგებს აგრეთვე, თუ რა საბუთები უნდა მოსთხოვოს მან სასიძოხს და სასძლოხს, როგორ უნდა ჩასწეროს მეტრიკაში უკანონოდ დაბადებულნი, სად და როგორ უნდ მოაწეროს ხელი კრებულმა საეკლესიო საბუთებს, როგორ უნდა გაარჩიოს წმიდანების სახელი არა წმიდანთა სახელებისაგან. ამავე წიგნში არის ბევრი რამ სხვა საჭირო და სასარგებლო ცნობანი. ეს ჩვენგან შედგენილი წიგნი, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორამ იცნო სასარგებლო წიგნად მღვდელთათვის და ყოველ ეკლესიას დაუბრუნა თითო ცალი მღვდელთა წასაკითხავად და სახელმძღვანელოდ, მაგრამ, როგორც დღეს ცხადად დამტკიცდა, ამ წიგნის არსებობა ბევრს ჯერეთაც არ შეუწყვია. რა მიზეზისა გამო? რა გეშლის ამისთანა სასარგებლო წიგნების წაკითხვას! ჩვენი დაუდევნელობა და სრული უყურადღებობა ჩვენი მოვალეობის მტკიცედ შესწავლისა და ჩვენი გონების განვითარების შესახებ. ბევრი ჩვენგანი, იმ იმედით რომ სემინარიაში კურსი შეუსრულებია, სრულებით აღარაფერს ჰკითხულობს და ცხოვრების სკოლაში არაფერს არ სწავლობს. ასეთი პირები არ ფიქრობენ, რომ სასწავლებლებიდან გამოსულმა, თუ ცხოვრების სკოლაში სწავლა არ განაგრძო და თავის განვითარებაზე არ იმეცადინა, ისეც მალე დაეფუცდება, რაც ოდესმე შეისწავლა. ამისთანა პირებს, რა საკვირველია, გაუძნელებათ იმისთანა საადვილო საქმე, როგორიც არის მეტრიკის წარმოება. მ. ლიპე ურჩევს სამღვდელოებას, რომ რვა ფურცელი ქაღალდი ჩააკეროს კურთხევანში, პირველად ამ ქაღალდში ჩასწერონ მღვდელ-მოქმედების აღსრულება და შემდეგ მეტრიკაში გადითანონ. უბრალო ქაღალდის კურთხევანში ჩაკერებას უმჯობესი არ იქნება მეტრიკა ჩასდვას და იმაში სწეროს მღვდელ-მოქმედების აღსრულება?!!.. ბლაღოჩინებმა და ზოგიერთმა დებუტატებმაც აღიარეს, რომ ამისთანა სახელმძღვანელო წიგნები მართლა არის დარიგებული ეკლესიებზედო. ძირებამ ერთ ხმათ გარდასწყვიტა და ვალდებულად გახდა ყველა კრებული, რომ ყოველი საეკლესიო

საბუთები აწარმოვონ თანახმად კანსისტორიის წესდებულებათა და ზემო ხსენებული სახელმძღვანელო წიგნის თანახმად. ძირებამ ვალდებულად გახდა ბლაღოჩინები, რომ მათ მკაცრი ყურადღება მიაქციონ საეკლესიო საბუთების რიგიანად წარმოების საქმეს.

ჩვენი აზრით, ძლიერ საჭირო და სასარგებლო იქნება, რომ მეტრიკის წიგნის ერთ უკანასკნელ გვერდზედ მოყვანილი იყოს ყველა მიუცილებლად საჭირო ცნობები საეკლესიო საბუთების რიგიანად წარმოების შესახებ. ეს დიდ შემწეობას აღმოუჩენს გამოუცდელ მღვდლებს და მედავითნეთ.

მეშვიდე კითხვა, რომელიც სამღვდელოების კრებას უნდა განეხილა, იყო შემდეგი: სხვა-და-სხვა ზომების და საშუალების ხმაება სატყების გაგვრცელებისათვის რუხსებში, განსაკუთრებით ისეთ რუხსებში, სადაც სატყები ძირადად იზრდება, აგრეთვე სატყა რუხების ხმაების გაგვრცელება ბავშვების მონათვლის დროს.

ცხადია ყველასათვის, რომ ეს კითხვაც ისე საყურადღებოა, როგორც ამ კრების სხვა კითხვები. ეს რუხსებში სამ-ოთხ ზღაგასაც ვერ ნახავთ თქვენ ხატს; ამ შემთხვევაში გასაკვირია ჩვენი ხალხის დაუდევნელობა, მაგრამ ხალხზე რა უნდა ვსთქვათ, როცა სამღვდელთა დავითივე დაუდევნელობას იჩენენ ამ საქმეში. ჩვენი სამღვდელოება სრულებით არ აქცევს ყურადღებას ამ სამწუხარო მოვლენას. მხლა სრული იმედი გვაქვს, რომ დღეიდან მაინც მიექცევა ამ საგანს ყურადღება ჩვენი სამღვდელოებისაგან. რაიცა შეეხება ჯერების ხმარებას ბავშვის მონათვლის დროს, ეს მოთლად დამოკიდებული არის მღვდლების გამოკრძაობაზე და მეცადინეობაზე. არ შეგვიძლია ჩვენ ხალხს გულ-გრილობა დავსწამოთ. ყველა გლეხს, მართლა, არ შეუძლია აბაზი და ხუთი შაური მისცეს ჯვარში თავის ბავშვისათვის, მაგრამ რომ იცოდენ, რომ ჯვრების მოპოება შეიძლება ორ-სამ კაპეკათაც, მაშინ არასოდეს არ დაიშურებენ მათ სასყიდლად ფულს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მღვდელს ორი-სამი კაპეკიც და შაურიც სინარულოთ არ მისცეს გლეხმა, თუ მღვდლებს ეს ჯვრები ყოველთნ თან ექნებათ ბავშვის მონათვლის დროს. მაგრამ ამას მოფიქრება არ უნდა? შეიძლება ზოგიერთ ჩვენ თანამოძმეებს ამისთანა ჯვრების სყიდვაც დიდ სამწელო საქმედ მიაჩნდეთ. მუდით და სუდით ვინატი, რომ სამღვდელოების კრების დადგინება ამ კითხვის შესახებ სისრულეში მოსულიყოს.

მერვე კითხვა: რაც შეიძლება საზღვრებისა და ქადაგებათა სწრაფ წარმოთქმა ეკლესიების გარეშე. ამ კითხვის შესახებ ჩვენ იმასვე ვიტყვით, რაცა ვსთქვით მეოთხე კითხვის განხილვის დროს; მხოლოდ იმას დაუმატებთ, რომ სამღვდლოება თავის დროში ვერ ეღიროება თავის დანიშნულების წმინდა მიზნის აღსრულებას, ვიდრემდის ამ საპატრიო კითხვებს არ მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და გულის მოდგინებით არ აღასრულებს მათ.

მეცხრე კითხვა იყო საეკლესიო-სამრევლო სკოლების გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში. ამ კითხვის შესახებ თუმცა სამღვდლოების კრებამ სასულიერო მართებლობის თანახმად დაადგინა განჩინება, მაგრამ სრულებით არ მიაქცია ყურადღება იმ მიზეზთა, რომელნიც წინ ეღობებოდა ამ მშვენიერ დაწესებულებას და არ აძლევდა ნებას, რომ ამ სკოლებმა თავის წმიდა მიზანი და დანიშნულებანი აღასრულონ. მიზანი და დანიშნულება ამა სკოლათა ცხადია და აშკარად არის გამოთქმული უწ. სინოდის უქაზებში და თვით ამ სკოლების წესდებულებებში. საეკლესიო-სამრევლო სკოლებს აქვთ სახეში მხოლოდ ახალი თაობის ზნეობითი და სარწმუნოებითი აღზრდა. მაგრამ ჩვენი სახალხო სკოლების დირექტორებს რომ ჰკითხოთ, ისინი მოგიგებენ შემდეგს: „ამ სკოლების დანიშნულება ძველად იყო მთავრად აქეთ სრულებით სწავლა და არა ის, არც კრესტში აქვთ ამ სკოლებს“. ეს ბატონები თავის არმინით ზომიერ და თავის სულსა ჰპერვენ ამ მშვენიერ დაწესებულებას. რამდენად აბრკოლებენ ისინი ამ სკოლების საქმეს, ეს ცხადია და აშკარად სჩანს მათი სხვადასხვა განკარგულებათაგან; ერთ დროს გამოვსთქვით ჩვენ ჩვენი აზრი ამ საგანზე და ეხლაც კიდევ ვიტყვით, რომ, თუ ეს სკოლები თავის გზაზე არ დაყენეს და თავის მიზანს მოაშორეს, კიდევ რომ გამოავლდნენ, მაინც სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანენ.

დამსწრე.

მოხუცებული პატრიარქის ნათქვამი.

უპატრიარქო კარგი.

1840 წლებში რუსეთის ერთ გუბერნიასაში სტოპოვოვსკი ერთი სამსახურიდან გადადგმა გვარდიის პოლკოვნიკი ბ. მას უნდოდა მამულის ყიდვა და წავიდა პეტერბურგში, სადაც ასაკები ჰქონდა 40,000 მან. საზოგადოებრივი რჩევიდამ. თითონაც პეტერბურგში იყო ნამსახური და ჰყავდა იქ ნაწილობები და ამხანაგნი. პეტერბურგში რომ მივიდა, მოაგონდა მას ერთი უფრო დასალოკებული მისი ნამსახურები გენერალი. მაშინვე გამოიკითხა მისი ბინა და შეიძინა დღესვე წავიდა მის სახანძრად. მასწინებელმა მიიღო დიდის აღტაცებით და მსაჩუქრებით თავისი ძველი მეგობარი, ახლანა თავის შეიძლება, გამოიკითხა მასს პეტერბურგში მისთვის მიწები, მიიწვია საუბრისად და კითხა: სად დგახარა. ბ. დაუხასხა ის საუბრისის სასტუმრო, სადაც ჰქონდა ოთახი და ჰქონდა, მასწინებელმა დიდი სიყვარული უთხრა, რომ რატომ ჩემთან არ დავიქი, დაუწყო მხარეთა, მაგრამ ეშმაკურათ, პეტრე, რომ ჩემთან გადმოდიო. ამხანაგო, იცოდე, რომ შენი ჩემთან დგომა, ჩვენ სრულიად არ შეგავსებს, მე სრული სადგომი მაქვს, სრულებით თავისუფალი ოთახს მოგიჩენ და გინდა ჩემს ოთახს დაგიტოვო, ჩემი შეიძლება ცალკე მომორებათ ოთახში აწიან, ისე რომ შენ არ შეგავსებს, იცოდე, სახამ საქმეს არ გააოგებ, რათ უნდა დაისაჯო უბრალოთ, თუ გი საშუალება გაქვს კაცს, ერთი სპეციალ, მე შენ აღარ გაგიშვებ სასტუმროში. ძველ მეგობართან ყოფნის სურვილმა, და მეგობრივი უფრო ვ ბას შენსაკის სურვილმა, გადასდია ანგარიშს მოკლავ პოლკოვნიკი და დასთანხმდა მასთან გადასვლას. ერთი საათის განმავლობაში გადმოიტანა თავის საბაგი და გადმოვიდა ამხანაგთან. რადგინამ დღე ამ პოლკოვნიკმა თანადგმა საქმეს და თუ თავის ნაწილობების სახეს. ერთ დღეს მოვიდა პეტრის რჩევიდან და თან მოიტანა ძალიან სქელი პაკეტი, რომელშია იყო 40000 მან.

— მაღლობა ღმერთს, უთხრა პოლკოვნიკმა თავის მასწინებელს, აი, მძალა, თუ ვიღაც ავიღე და, რადგან ეს თავისუფალი ვარ, დღეს მინდა დაგბრუნდე შენ.

— რას ამბობ, მიუგო მასწინებელმა, დღეს წვეულება აქვს ღერვალ ლეიტენანტს ც. სომ გახსოვს, რა დასალოკებული ამხანაგია ის ჩვენი, მე მეგობრივ შენად გი უფიქრებ კიდე. მას, მაღამ იქ წავიდეთ, შენ.

რომ ის მოულოდნელათ გნახავს, ოხ, რა ზიკით იშლება და რა კარგ დროს გაატარებთ, ამაღამ უთუოთ იქ წავიდეთ და ხვალ წადი შინ, ეგ ფული აქ მომეცი, მე შეგინახავ. პოლკოვნიკს მოაგონდა, რომ, მართლაც, არ უნახავს იმისთანა კარგი ნაძმანაგვეი, რომლის ნაწილობრივ საჭირო იყო, დაიჯერა სამხედრო რჩევა მასწავლებლისა და მიიბარა მას ფულიც.

— მარია! დაუძსა მასწავლებელმა თავის ცოლს, აი შეინახე ეს პაკეტი დაკეტილში, ამაში დიდი ფულია. მეორე დღეს პოლკოვნიკი გაემზადა შინ წასასვლელად და უკვირს, რომ არავინ ამღევს თავის ფულს, შემდეგ უთხრა:

— ახ, ამხანაგო, ჩემი ფული მხოლოდ.

— რა ფული? ჭკითხა გაკვირვებული ღიმილით მასწავლებელმა.

— როგორ რა ფული? გუშინ არ გამომართვი შესანახად პაკეტი, რომელშიც 40000 მან. იყო?

— შენ მგონი მესუბრები, ჩემო საუკრულო მეგობარო, მიუტო გულწრფელად და მწყურვალად მასწავლებელმა, მე შენგან არავითარი ფული არ მიმიღია და არც მინახავს.

— რას ამბობ, შენ! მგონი თითონ გსურს ისუბრო, შენ არ გამომართვი გუშინ პაკეტი, მაშაშვე შენს მეუღლეს და თან გააფრთხილე «დაკეტილში შეინახე, აქ ბევრი ფულია»? უთხრა შეწყუბუღებულ პოლკოვნიკმა.

— მე არ მოველოდი შენგან მაგ საქციელს ჩემის სტუმარ მოეგარეობისა და პურ-მარლისათვის, მე არ გოეჭრობ, შენ არ შეშლილიყო, თუ რას გაგს ეს, მიუტო მასწავლებელმა.

— როგორ, ნუ თუ არ ამღევს ჩემ ფულს?

— არ ამღევს, რადგან არ მიმიღია, გარდაცვლი პოლკოვნიკი საჩქაროთ გამოხრუნდა, მოიხურა შინელი, გამოვიდა ქუჩაზე და დაუძსა კუჩქს, რომელსაც უბანა, რომ საჩქაროთ პოლიციის უმფროსთან წამიყვანეო. როდესაც მივიდა კოკოშკინთან და მოახსენა ეს ამბავი, მან გაკვირვებით მოისმინა პოლკოვნიკის განცხადება და უთხრა:

— სწორეთ აგრე იყო? იცოდე, პოლკოვნიკო, რომ მე ეგ ანბავი ესლავე ხელმწიფეს უნდა მოვასხენო.

— ცოლ-შვილის პატრონი ვარ და საცხოვრებელი მეკარგება, ამიტომ მე არ მეშინია ჩემი სიმატლის ასახსნელად წარვსდგე ხელმწიფესთან და გადევ მსურს ეს, მიუტო პოლკოვნიკმა.

— რადგან აგრე, წავიდეთ, უთხრა კოკოშკინმა და წავიდენ. როდესაც მივიდენ ხელმწიფესთან და კოკოშკინმა მოახსენა ეს ამბავი, ხელმწიფემაც გაკვირვებით მოისმინა და არ ჯეროდა, მაგრამ რაღა პოლკოვნიკმა დაიჩიქა და მოახსენა: «ხელმწიფე! მე ვიყავი პატრონის სალდათი, კეტროფი თქვენს ბრძანებას და ვასრულებდი ფოკლეტის წმინდათ, დაისვენით ჩემი ცოლ-შვილი მომავლის უბედურებისაგან» მაშინ ნიკოლოზ ჰავეს მე ბრძანა, რომ ესლავე გენერალ-ლეიტენანტი მომეკარეთო. მოვიდა თუ არა გენერალ-ლეიტენანტი, ხელმწიფემ მიმართა მას შემდეგი კითხვით:

— შენ გამომართვი პოლკოვნიკ პაკეტი 40000 მ?

— არა, თქვენო უდიდებულესობავ, წაიხრებოდა გენერალ-ლეიტენანტმა.

— რას ეძახი შენ შენს ცოლს? ჭკითხა ხელმწიფემ.

— მარია-ს, თქვენო უდიდებულესობავ.

— დაჯექი და დასწერე ასე: «მარი ხელმწიფემ უკვე იცის 40000 მან. პაკეტის ამბავი; ჩაბარე ესლავე ის პაკეტი ამ წერილის მომტანს». გათავა თუ არა ამგებიებულმა გენერალ-ლეიტენანტმა ამის წერა, ხელმწიფემ მოიხმო ფარული გენერალი და უბრძანა წერილის წაღება და პაკეტის მოტანა. ნახევარი საათის შემდეგ ეს პაკეტი ქონდა ხელში იმპერატორ ნიკოლოზ ჰავესძეს, რომელმაც კითხა პოლკოვნიკ ბ.

— შენა ეს პაკეტი?

— დიხ, თქვენო უდიდებულესობავ.

— დაითვალე ფული, უბანა ხელმწიფემ და მისცა პაკეტი, უკლა აჩის თუ არა?

— უკლა გახლავს ხელმწიფე!

— აი ესლა წადი შინ ფულიანა და შემდეგში იყავი უფრო ჭკუიანად, რომ უხვალწრფელთ ნუჩავის ენდობი. შენ, მიმართა ხელმწიფემ გაქვავებულ შიშისა და სარცხვილისაგან გენერალ-ლეიტენანტს, ღირსი სარ, რომ აგხდო ფოკლეტი ღირსება, მაგრამ შენის შვილების საცოდაობით მე ამას არ ვიზამ, შენ გვეოფა ის, რომ ჩემს თვალში მარადისათვის იქნები შენ უპატრონო კაცი, გასწი აქედან.

**ქაქასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის
აღმადგინებელი საზოგადოების წამართა საზო-
გადო კრება.**

ამა თთვის 1-ს რიცხვს, ნაშუადღევს პირველს საათზე, ექსარხოზის სასახლეში საზოგადო კრება იყო კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა. კრება გაიხსნა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოზის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის თავს-მჯდომარეობით. კრებაზედ დაესწრნენ ყოვლად სამღვდელონი: აღექსანდრე, ეპისკოპოსი გორისა და ბესარიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, კავკასიის სამას-წავლებლო ოლქის მხრუნველი, ტაინი სოვეტნიკი პირილე პეტრესძე იანოვსკი, დეისტეიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პალიბინი და სხვა სამღვდელო და საერო წოდების პირნი. მეორე საათის დაწყებისას კრება გახსნა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ შემდეგი მოკლე სიტყვით: «ქრისტიანული ჩვეულებისა მებრ ყოველი საქმე ლოცვით იწყება. თუკი საჭიროა, რომ კაცმა ყოველი საქმე ლოცვით დაიწყოს, მით უმეტეს საჭიროა, რომ ამისთანა საქმის დაწყების წინ, როგორც არის მისიონერობის საქმე, შევევედროთ ღმერთსა და მოვიწოდოთ მისი მაღლი და ძალა, რათა ეს მაღლი და ძალა იქმნეს ჩვენი ხელ-მძღვანელი და შემწე ამ კეთილ საქმეში». ბათაფა თუ არა ეს სიტყვები, მათმა მეუფებამ გახსნა კრება. კრების გახსნისთანავე ამ საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა ბ. ნიკიფოროვმა წაიკითხა წასრული წლის გრცელი ანგარიში. საზოგადოების ბუხგალტერმა წაიკითხა შესავალ-გასავლის ანგარიში. ანგარიშში იყო მოყვანილი ბევრი საყურადღებო გარემოებანი და ცნობანი, რომელთაგან, სხვათა შორის, მოგეყავს ზოგიერთი ადგილები. ბ. ნიკიფოროვმა დაწვლილებით შეატყობია კრებას ის ხარჯი, რომელსაც ეს საზოგადოება ხარჯავს მისიონერებზედ; აგრეთვე ბ. ნიკიფოროვმა შეატყობია კრებას ისიც, თუ რა ზედ გაელენა და ნაყოფი მოაქვს ხალხში ამ მისიონერების სამსახურს. ნიკიფოროვმა მიაქცია კრების ყურადღება ერთ გარემოებაზედ. «შეხო კაცს, მისიონერს, არასოდეს არ შეუძლია იმისთანა სარგებლობა მოიტანოს მისიონერობის საქმეში, როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია თვით ადგილობრივ მისიონერებს. უფრო ნაყოფიერი და უფრო სასარგებლო იქნება, რომ ეს საზოგადოება ადგილობრივ მკვიდრთა შორის აღიჩეღდეს ხოლმე ზოგიერთ პირებს, აღზრდიდეს მათ და მერე მისიონერებად ნიშნავდეს მათ. ამისთანა პირებისაგან უფრო ღიდ სარგებლობას და ნაყოფიერ სამსახურს უნდა ველოდეთ, ვინც იმ მისიონერთაგან, რომელთაც სრულიად არ იცნა იმ ხალხის ზნე-ჩვეულება და ენა, რომელთა შორის ისინი მოღვაწეობენ. ამასთან მიუცილებლად საჭიროა,

რომ ხალხში გაერცელოდეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის საკითხები წიგნები, მაგრამ არა მარტო რუსულ ენაზედ, არამედ ადგილობრივი მკვიდრთა სამშობლო ენაზედაც».

ბ. ნიკიფოროვმა, როცა ანგარიშის წაკითხვა გაათავა, განუმარტა შეკრებილ საზოგადოებას ზემოთ აღნიშნული საზოგადოების წესდების ერთი მუხლი, რომლითაც კრების ყველა წევრს აქვს უფლება გამოსთქვას კრებაზე თავისი მოსაზრებანი და სხვა-დასხვა ზომები საზოგადოების უმჯობესად მოქმედების შესახებ, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად.

მაღალ ყოვლად სამღვდელომ, საქართველოს ექსარხოზმა სთხოვა კრების წევრთა, რათა მათ გამოსთქვან თავისი მოსაზრებანი საზოგადოების მოქმედების შესახებ. ამ წინადადებაზე «მწემა»-ს რედაქტორმა დეკ. დ. ლამბაშიძემ მოახსენა კრებას შემდეგი: «ამას წინეთაც მივაქციე მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების ყურადღება ბეჭდვითი სიტყვით ერთს, ჩვენი აზრით, საყურადღებო გარემოებაზედ. მხლა ესარგებლობთ ამ შემთხვევით და პირისპირ მოვახსენებ კრებას ჩემს აზრს. ქაქასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება ცდილობს აღადგინოს და გააერცელოს ქრისტიანობა იქ, სადაც სხვა-დასხვა საშუაზრო გარემოებათა გამო ეს სარწმუნოება არ სრულიად დახშულა ან დასუსტებულა. როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელი რუს-ოსმალის ომის შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდა ბათუმის, ართვინის და შარსის სამფლობელოები. ამ ადგილებში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას არც მისიონერები ჰყავს და არც სკოლა აქვს. მართი სიტყვით ეს საზოგადოება სრულიებით არ აერცელებს თავის მოქმედებას ამ ადგილების მკვიდრთა ზედა. ჩვენი აზრით, მეტად საჭიროა, რომ საზოგადოებამ თავისი მოქმედება გააერცელოს ამ ადგილებში, რადგან ამ სამფლობელოების მკვიდრნი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ, რასაც ამტკიცებს მრავალი ქრისტიანული ჩვეულებანი, რომელნიც დღესაც არიან დარჩენილნი ამ ხალხში.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ ბ. ქაქასიის სამას-წავლებლო ოლქის მხრუნველმა ბრძანა, რომ საზოგადოებას უმაღლესად დამტკიცებული წესდებულება არ აძლევს ნებას გააერცელოს თავის მოქმედება საზოგადოების წესდებულებაში აღნიშნული ადგილების გარეშე. საზოგადოებას სახეში აქვს მთიული ხალხი და არა სხვაო. ამაზედ დეკ. დ. ლამბაშიძემ მოახსენა კრებას, რომ საზოგადოება დაარსებულია 1860 წ. და მისი წესდებულებაც მაშინ არის შედგენილი; რასაკვირველია, მაშინ ამ სამფლობელოების შემოერთება არ იყო არც ექნებოდა სახეშიო. ამ საზოგადოების წესდებულება თუმცა ხელახლად იქმნა დამტკიცებულ 1885 წელს, მაგრამ ძველი წესდებულების ყველა

მუხლები დარჩა თავის ძალაში, გარდა ორი სამი პარაგრაფისა. რომელიც წევრთაგან შემოსატან ფულების რაოდენობას შეეხება და საზოგადოების თავს შეჯდომარეს. საჭიროა. სიტყვა ლამაზობდნენ, რომ ეხლა აღდგინდეს კითხვა და საზოგადოების მოქმედება გაგრძელდეს ამ ახალ შემოკრებულ მხარეებშიაღიკრების ზოგიერთმა წევრებმა მაინც უადგილოდ დაიწახეს ეს წინადადება. «პრეზანა, რასაკერვლითა, დამოკიდებული, დაუმატა მ. ლამაზობდნენ, ამ კითხვის განხორციელება, მაგრამ, ჩემის აზრით, სწორედ დიდი დამნაშაობა იქნება, რომ საზოგადოებამ ასე გულგრილად უყუროს ამ შემოკრებულ ადგილების მკვიდრთა და არ გამოაჩინოს თავისი მოქმედება (ქ, სადაც ასე საჭიროა ეს მოქმედება. შპალესი მართებლობა სცდილობს, რომ არაბებში და სხვა უცხო მხარის ურწმუნო ხალხი მოაქციოს და გააქრისტიანოს და როგორ დაეჯერებ, რომ თავის სახელმწიფოს ძველი ქრისტიანების, ხოლო დღეს გამაჰმადიანებული ხალხისათვის არ იზრუნოს. ნუ დაეფიქრებთ იმასაც, რომ ამ მხარეებში სხვა აღსარების მქადაგებელნი შემოდინა და სთესვენ თავიანთ სწავლა-მოძღვრებას, რომელიც საბუღოვოდ სასარგებლო არ ღარჩება ჩვენთვის».

შემდეგ კრება შეუდგა საზოგადოების რჩევის წევრების აღრჩევას. შეეტყვის ხმით აღრჩეულ იქმნენ საზოგადოების რჩევის და სამმართველოის წევრებად შემდეგნი პირნი: ლევ. ძალლისტოვი, ბ. პალიბინი, არქიმანდრიტი მაკარი და კესარი.

პრეზამ აღიჩინა აგრეთვე წევრნი საზოგადოების შესავალ-გასავლის შესამოწმებლად და მეოთხე საათზედ კრება გათავდა.

დამსწრე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოი პალადი ამა თთვის ოთხს წამობრძანდა ობილესიდან მუთაისისკენ ადგილობითი ეკლესიების და მონასტრების დასათვარიელებლად. ამავე დღეს, საღამოზე მათი მეუღება მოაბრძანდა მუთაისში. რკინის გზის სადგურზე მათ მეუფებას მიეგება ქალაქის წარმომადგენლები, როგორც სასულიერო ისე საერო. მათი მეუფების მოგზაურობის დაწყებლითი აღწერა იქნება შემდეგ ნომრებში.

როგორც გავევთ, ბლალაჩინი მღვდელი ბესარიონჩენკელი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტარის განკარგულებით უკვე დაუთხოვნიათ ბლალაჩინის თანამდებობიდან. ამ ადგილზე გადმოუყვანიათ საჯავახოს საბლალაჩინო მაზრის ბლალაჩინი მღვდელი მარშალოზ ძანდელაი, რომელიც მ. ჩხენკელის საბლალაჩინოშივე სცხაერებდა. საჯავახოს საბლალაჩინოში, როგორც ხმები ისმის, ინიშნება მუთაისის საკათედრო სობოროს მღვდელი მ. ილარიონ ბერსამია. მუთაისიდან ამ საბლალაჩინო მაზრამდის არის თითქმის 50 ვერსი.

ამ საბლალაჩინო მაზრის მღვდლებისა და მღვდელთნათვის უფრო საუმჯობესო იქნებოდა, რომ მათ მახლობელი მღვდელი დანიშნოდა ბლალაჩინად, თუ კი ადგილობითი მღვდლებში ვინმე ნასწავლთაგანი მოიპოვებოდა. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ამ საბლალაჩინოში საძი მღვდელია, რომელთაც სემინარიაში აქვს კურსი შესრულებული, ამათგან ერთი კარგა ხნის ნამსახურია, როგორც მასწავლებლობის თანამდებობაზე, ისე მღვდლობაში და მღვდელს ბერსამიას კი მარტო ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში აქვს კურსი შესრულებული.

პატივცემული ჩვენი არქეოლოგი და ისტორიკოსი ბ. დ. ზ. ბაქრაძე, რომელიც მოგზაურობდა პონტანტინებოლში და ათონში; მასზე დიდი შთაბეჭდილება მოხდენია ათონის მონასტრის ბერების წეს-წყობილებას და ცხოვრებას. ბევრი რამ წარწერილობანი უნახავს ბ. ბაქრაძეს ათონის მონასტრში. იმედია, რომ იგი თავის მოგზაურობის შედეგს შეატყობიეს საზოგადოებას.

დიდ მარხვის პირველ კვირიაკეს ჩვენი სახელმწიფოს ყველა მართლ-მადიდებელ ეკლესიებში შეკრებილა 120,000 მანეთი პალესტინის მართლ-მადიდებელი სამისიონერო საზოგადოების სასარგებლოდ.

ამაოვიდა ახალი წიგნი «მართული სწარმეყველება», შედგენილი პ. ატიკარიძისმიერ. მაგრამ ეს წიგნი, როგორც თვით ავტორმა გვიამბო, ბევრი შეცდომებით გამოუშვია გამომცემელს, რაისაგანო ავტორი აპირებს ხელახლად ამ წიგნის გამოცემას.

ჩვენ მაგივრად ახლად გამოცემული წიგნი «ვასტანკ მექქესე». წიგნი შედგენილია ბ. ნასიმისაგან. ხოლო გამოცემულია ბ. ზაქარია ჭაჭინაძისაგან. წიგნი სუფიად და კარგად არის გამოცემული. რამდენად სიქების შრომა ბ. ნასიმისა, იმდენად სიქების მეუფითობა ბ. ზ. ჭაჭინაძისა, რომელიც ასეთ ბეჭითობას აჩენს წიგნების გამომცემის სიქებში. სიქებია ბ. ჭაჭინაძის მეუფითობა იმეტომ, რომ ჩვენში ძალიან ძნელად ისეიდეებას ახლად

გამოტყეული წიგნები და მასთან გამომტყეულებს ბეჭდის წიგნების ფასად კვარკებათ.

* *

მითოეულ მაზრაში დღეს სამი და ოთხი ბლალოჩინია, მაგრამ ესენიც ვერ აუღიან მეტრიკის მოწმობების მისაღებ საქმეების გამოძიებას. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტარის განკარგულებით ამას წინეთ მითოეულ მაზრაში დანიშნა მითოეული მომედიებელი მღვდელი როგორც ამ საქმეების, ისე სხვა საქმეების გამოსაძეად. ჩვენის აზრით, ყოველად მოუხერხებელი იყო, რომ ერთს გამომედიებელს სისწორით და სიჩქარით ეწარმოებია როგორც მეტრიკის საქმეები, ისე სხვა. ჩვენ მოვანხნეთ ეს გარემოება მაღალ ყოველად უსამღედელოეს, საქართველოს ექსარხოს პალატის, რომელმაც, თანახმად ჩვენი მოხსენებისა, ბრძანა, რომ მეტრიკის მოწმობის მიღებისათვის საძიებელი საქმეები ისევ ბლალოჩინებს მიენდოს, ხოლო სხვა კერძო საჩივრების გამოძიება მიენდოს განსაკუთრებით დანიშნულ გამომედიებლებს.

* *

უწმიდესმა სინოდმა მოასწინა განკარგულება, რათა ყველა საჩუქრისა ქაღალდები, რომელნიც კმკლე საიეს ეკუთვნის, რომ ან დაიკარგონ, ინახებოდნენ ან სასკოლოში, ან მის განყოფილებაში და განტოვდნენ.

* *

მან კარგულებისა მებრ მისი მაღალ ყოველად უსამღედელოესობის, საქართველოს ექსარხოსის, პალატისა, ამ მოკლე ხანში შეუღებებთან თბილისის ქაშე-თის წმ. ბიორგის ეკლესიის გარეგან შეკეთებას. ეს ტაძარი აღმშენებულა კერძო საშუალებით განსვენებული თავადის ბიე ამილახვარისაგან.

* *

მართი რუსული გაზეთი «დღე» გეაცნობებს, რომ კრემენჩუგში გარდაცვლილა ვინმე შეჩენკო, რომელსაც ადგილობრივი ეკლესიებისათვის უნდოდა 100,000 მანეთი. ადგილობრივ სამღვდელთა დიდის პატივით დაუსაფლავებია განსვენებული. ეს შეჩენკო ყოფილა მეკასე; მას ერთი წლის წინად მოკვდომია მეუღლე; შვილები არ ღარჩენია.

* *

2 მებერვალს ამა წლისა მელაგის სასულიერო სასწავლებლის სასახლის ტაძრის დღეობის დღეს, მელაგის და სიღნაღის სამღვდელთა კრების დადგენილობისა მებრ, რომელიც დამტკიცებულ იქნა მათი მაღალ ყოველად უსამღედელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალატისაგან, მელაგის სასულიერო სასწავლებელთან გაიხსნა საზოგადო ბინა მოწაფეთათვის. ჰერჯერობით ამ საზოგადო ბინაში სცხოვრებს 35 პანსიონერი. თავის ხარჯზე შემსვლელთ ეთხოვებათ ხარჯისათვის ას ათი მანეთი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმყნოებასა და კეთილზნეობაზე.

ს ი ტ ე ჯ ა,

თქმული წმ. ადდგომის პირველ დღეს მწუხრზე მაღალ ყოველად სამღვდელთა მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის პალატისაგან.

ესე არს დღე, რომელ კქმნა უფალმან ვინარბდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა (ფსალ. 117, 24).

დიდება და მადლობა უფალსა! კვალად ღირს გეყო მან, რათა ვიდესასწაულოთ წმ. პასეკი. კვალად ვხედავთ და ვიდესასწაულობთ ჩვენი ქრისტე მაცხოვრის დიდებულს და ცხოველს-მყოფელი მკვდრებით აღდგომის დღეს. ოჰ, რა საკვირველი, დიდებული, ნათელ მომფენი და სასიხარულო დღეა! მეთი წმ. ეკლესია როგორღაც ვერ დაკმაყოფილებულა დღეს ჩვენთან ერთად სიხარულით. მეთი იგი გვიჩვენებს ჩვენ ამა დღის მრავალს დიდებას და მრავალ-სახით აღიდებს მას თავიანთ საგალობლებში: «ესე არს წმიდა და ხინებულ დღე, გალობს იგი, სხდომთ დღე ესე ერთ შაბათი მეფე და უფალი, დღესასწაული დღესასწაულთა და კრება კრებათა (საგ. 8)». «ესე არს დღე, რომელ კქმნა უფალმან, ვინარბდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა».

ჰეშმარიტად, მელდესასწაულთა ძმანო, დღეს დიდი და უბრწინებელი დღესასწაულია ცათა ბინა და ქვეყანასა ზედა. რაზედ ვხარობთ ჩვენ? ჩვენს გამოხსნაზე და ცხოვრებაზე, ვიდესასწაულობთ სიკვდილის მოკვდინებას, ჯოჯოხეთის შემუსრვას (საგ. 7, ტრ. 2); დღეს დაირღვა სამფლობელო ცოდვისა, შეიმუსრა ისარი სიკვდილისა, ჯოჯოხეთი დაირღვა, ცა განიხსნა, დღეს ანგელოზნი ღაღადებენ, ხარობენ ძენი ღვთისა, ტრაპეზი სულიერი და შეუტყნებელი წინადადების ყოველთა, სარწმუნოება განცხოველებულ არს, სასოება განმტკიცებულ, სიყვარული აღნთებულ და ამაღლებულ; ზეციურმა მამამ თავისი მხოლოდ შობილი ძის მეოხებით შეგინდო ჩვენი შეცოდებანი და შეარიგა ცა და ქვეყანა. ხილული მზე იმდენად ვერ აცოცხლებს

და აცხოველებს ბუნებას, რამდენად მზე აიმაბთლისა, აღმოაბრწყინებულს საფლავით, ქრისტე უფალი, აცოცხლებს და ახარებს მორწმუნე სულთა. ბიზაროდენ, ძმანო, და კვალად გიხაროდენ, მაგრამ გიხაროდენ სიხარულითა ძრწოლითა და კეთილ-სახიერებითა. შერბადენით, რომ მხარულების დღეს არ დაკარგოთ სიხარული ბრწყინვალე და წმინდა რაიმე ბოროტი და ეშმაკის სასიამოვნო საქმეებით.

რახვედ უნდა ეხაროდეთ ჩვენ დღეს და რას ვდღესასწაულობთ სახელდობრ?

დღეს ვდღესასწაულობთ, უპირველეს ყოვლისა ცოდვთაგან გამოხსნას. დღეს სამფლობელო აღმის ცოდვისა დარღვეულ არს ქრისტე მაცხოვრის ჯვარცმითი ვნებით და ჩვენი ვნებითი ცოდვების ძალაც შესუსტდა აღდგომილის მადლით; მხოლოდ შესუსტებულ არს და არა სულ მოხსობილ. ძრისტიანეს, რომელ-ც დაფარულია ქრისტეს მადლის ძალით, შეუძლია არ სცოდოს, შეუძლია არ ჩაიდინოს ვნებითი ცოდვები, არ დაემარჩილოს მას, რაისადმისაც იზიდავს მას ცოდვა ანუ რაიმე სამარცხენო ვნება, თუმცა მოქმედებს სარწმუნოების და სიყვარულის შესაფერი საქმეებით; მაგრამ ამასთანავე მთლად უშიშარ მდგომარეობაში არ არის იგი, მას შეუძლია ჩაფარდეს ცოდვაში, თუ იქნება უუზადლებოდ ანუ გაფანტული. ძმანო! ჩვენ კვალად ემოღაწეობთ, ჩვენთვის კიდევ არ დამდგარა დაუღამებელი დღე საუკუნო განსვენებისა, ჩვენს გულში კიდევ არ არის შემეუსრული ცოდვა, კიდევ მივიღებთ ცოდვებისადმი და ხშირად ჩვენ მომაკვდინებელ ცოდვებს ჩავდივართ. ამიტომ ვიხარებდით უფლია მამართ და დეცკათ სულ-ც და სხეულიც სიწმიდით, —სული ბოროტ განზრახვათაგან, სხეული ვნებითი მოქმედებისაგან. მხარვრდეთ სიხარულითა ძრწოლითა და კეთილ სახიერებითა.

გარდა ამისა, ვდღესასწაულობთ სიკვდილის მოკვდინებას. მაგრამ როგორა ხდება ის, რომ დღესაც კვდებიან მომაკვდინი? ჩვენც რატომ გვემინია მუდამ სიკვდილისა? გამოვიკვლიოთ უუზადლებით ეს აზრი. — კვდება თუ არა მართალი კაცი? არა, მართალი საუკუნოდ სცხვრება; მორწმუნე თუმცა კვდება სხეულით, მაგრამ ყოველთვის ცოცხალია სულით. ხორციელი სიკვდილი მართალთათვის არა სხვა რაიმე არს, არა მდგარადსელო უკეთეს ცხოვრებაში, გარდასელო ფრიალ სასურველი. მს სიკვდილი სრულებითაც არ ეხება მართალი კაცის უკვდავ სულს. მს კიდევ ცოცხალია, ეს სიკვდილი არ ავნებს არც თვით მის სხეულს,

რადგან, როცა იქნება საზოგადო აღდგომა, იგი ხელახლად შეერთდება ღვთაებრივ ბრწყინვალე სულთან და შეიქნება უზრუნველ, უცვალებელ, მოკლებულ ვნებათა და საუკუნოდ ცხოველ. «დღეს არაღის უნდა ეშინოდეს სიკვდილისა, ამბავს იოანე ოქროპირი, მსოფლიო მასწავლებელი, რადგან მაცხოვრის სიკვდილმა განგვათავისუფლა ჩვენ». მსგ, რომელიც უწინარეს მზისა მთახდა საფლავით და აღმოაბრწყინა დილით, გაანათლა ბნელი საფლავისა და, დაგვამტკიცა, რომ ვიქნებით უკვდავ! დაარღვია მან სამფლობელო მისი, გვიჩვენა, რომ არა მარტო კაცის სული არს უკვდავ, არამედ უკვდავია სხეულიც, რამეთუ ჯერ არს სწრაფისა ამის შემოსად უხრწნელება და მოკვდავისა ამას შემოსად უკვდავობა (ა. კორ. 15, 53). აღსდგა ქრისტე, —და საფლავი იქნა წყაროდ უკვდავებისა, სიკვდილი შეიქმნა უკვდავების მქადაგებლად; და ჩვენც შეგვიძლია ეივალბობით სავალბებელი: სადა არს, სიკვდილი! საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთი, ძლევა შენი (ა. კორ. 15, 55)?

მდღესასწაულობთ ჯოჯოხეთის შემეუსრვას. მანა ეხლა კი აღარ არის ჯოჯოხეთი? მართალთათვის, რომელნიც სარწმუნოებით და სასოებით გარდაიცვალენ, კეშმარიტად აღარ არის იგი; მაგრამ მოუწინებელ ცოდვილთათვის კი არის. რას ნიშნავს ჯოჯოხეთის შემეუსრვა? ნიშნავს იმას, რომ სულნი მართალთა, რომელნიც გარდაიცვალენ ქრისტეს ქვეყნად მოსკლამდის, აღმოყვანილ იქმნენ ჯოჯოხეთისაგან ყოვლად შემძლე მხსნელის, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ძალით. მან, რომელიც არის ღმერთი ყოვლად შემძლე, რომელიც გენო და რომელმაც იგება სიკვდილი ჯვარზე, როგორც კაცი, არა მხოლოდ მოაკვდინა სიკვდილი, არამედ შემეუსრა ჯოჯოხეთიც. რადესაც სხეულით იმყოფებოდა საფლავში, იგი თავისი სულით მთავიდა ჯოჯოხეთად რამეღათც საშფოობად მას სულისა მოგვიდა და ქადაგა (ა. პეტ. 3, 19) აქაც სახარება სასუფეველისა, წამოხსტევენა ტუქი და იხსნა ხელმწიფებისა მისგან ბნელისა (კოლ. 1, 13) ყველანი მისნი კეთილ სათნონი და მორწმუნენი, რომელნიც მოვლადნენ მის მაცხოვრებითი მოსკლას. ამ სულიერ ძლევის, ჯოჯოხეთის შემეუსრვას და ძველი აღთქმის ყველა მართალთა გამოხსნას დღესასწაულობს დღეს წმიდა ეკლესიაც. მართლაც, რომ გასაკერი და დიდებულია ამისთანა ძლევა ჯოჯოხეთისა ზედა და საუფეშოა მართალთა გამოხსნა! მხლა, რაც ქრისტე აღსდგა მკვდრებით, სულნი მართალნი

აღარ შედიან ჯოჯოხეთსა შინა, არამედ პირ-და-პირ განისვენებენ ხოლმე ბრწყინვალე საყოფელსა შინა, რომელიც არ-უწყის ჩვენმა გონებამ; ეს საყოფელი არის კარის-ბჭე იმა ნეტარ და საუკუნო საცხოვრებელთა, რომელნიც მომზადებულ არიან მართალთათვის სახლსა შინა ზეციურისა მამისა.

ბოლოს, დღეიდგან ცაჲ განხმულია. იგი განხმულია ჯვარცმულის და მკედრებით აღდგომილის ჯვრით, არა მხოლოდ სარწმუნოების და კეთილის ცხოვრების მქონებელთათვის, არამედ ყოველთა ცოდვითათვისაც, რომელნიც მოინანებენ თავიანთ ცოდვთა. შრიად სასიხარულოა ჩვენ ცოდვითათვის, რომ განხნილია ცა ცოდვითათვის, რომელნიც მოინანებენ ცოდვთა თვისთა. ღიდათ სასიხარულოა ამ გვარი ღვთის სიყვარული, რომელშიაც იხედება უზომო და გამოუთქმელი ღვთის მოწყალებანი კაცთა ნათესაისადმი! ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი, ძმანო, სხვა ბევრ მხიარულების წყაროებსაც წაშოგვიდგენს ჩვენ, მაგრამ ყველა მათი აღწერა და გამოხატვა არ შეიძლება. მაგრამ რანდენათაც ბევრ გვარს სიხარულის ღირს საქმეებს მოგვაგონებს ჩვენ ქრისტეს აღდგომის დღე, იმდენად უფრო ყურადღებას უნდა ექცევდეთ ჩვენი სულის შინაგან მდგომარეობას და გარეგან მოქმედებას, მით უმეტეს უნდა ეიკვლეოდეთ, თუ რა გვარია ჩვენი დღევანდელი სიხარული: ნამდვილად ქრისტიანულად ვმხიარულებთ, თუ არა, ჩვენი სიხარული ნამდვილად ღირსია აღდგომისა და მაცხოვრებელია ჩვენთვის თუ არა? დღეს ჩვენ მრავალ-გზის ეიმეორებთ: ქრისტე აღსდგა! ეცადეთ, ძმანო, რომ ეს მრავალ-მნიშვნელობიანი სიტყვა არ იქნეს ჩვენთვის უქმი; არამედ წარმოითქმებოდეს ხოლმე იგი ჩვენგან იმა ჭეშმარიტების სრული შეგნებით, რომელსაც გვახარებს ეს სიტყვა. ქრისტე აღსდგა! ამ სიტყვაზე უნდა მიუგოს არა მარტო ჩვენმა ენამ, არამედ მთელმა ჩვენმა სიცოცხლემ. და აღსდგეს ქრისტე ჩვენს მუდამ მასთან ერთობაში და ჩვენგან ეკლესიისადმი შეიღებრივ მორჩილებასა შინა, რომელიც გამოიხატება მისი მაცხოვრებითი საიდუმლოებში; და აღსდგეს ქრისტე ჩვენს სარწმუნოებაში, სასოებაში და სიყვარულში. ქრისტე აღსდგა! ეცადეთ, რომ ამ სიტყვაზე პასუხს აძლევდეს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრება, რათა მშვიდობით და მუხდრებით გსცხონდებოდეთ ყოველთა დიქტის მისხუტებათა და სიწმინდითა (ა ტიმ. 2, 2), ქრისტე აღსდგა! სულიერად იშვებდით და შეუერთდით ამ სალამს თქვენს, საწყალო და

დაუძლურებულო სიღარიბითა და მწუხარებითა; ქრისტე აღსდგება თქვენ შორისაც და თქვენი მწუხარე გული თანისუფლად და ადვილად ამოიხრავს ქრისტეს აღდგომის სიხარულით.

ღღეს ჩვენ, ძმანო, სარწმუნოებით ვდღესასწაულობთ აღდგომის დღეს უფლისა ჩვენი ისო ქრისტესა, ამიტომ შევიმოსოთ ამ დღესასწაულის შინაგანი ნათლით, — სულიერად ავლადგეთ აღდგომილთან ერთად, რათა როგორც ამა ცხოვრებაში, ისე მომავალში ვგვმოთ მაცხოვრის აღდგომას გამოუთქმელი სიკეთე.

ჰოი, პასექა დიდო დაწმიდაე, ქრისტე! მოგვანიჭე მაზიარებელთა შენთა დაუღამებელსა მას დღესა შინა სასუფეველი შენი. ამინ.

აღდგომა ქრისტესი.

შაბათის შემდეგ პირველ დღეს ანუ კვირას, რომელიც ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მესამე დღე იყო, მარიამ მაგდალინელი, მარიამ ნიკობისა, სალომე, იოანა და სხვა დედანი გაემართნენ განთიადისას ისოს საფლავისაკენ. იმათ მიჰქონდათ თან კეთილსუნელოვანი ნელსაცხებელი, რომლითაც ჰსურდათ ეცხათ გვამი მეუფისა და ამით უკანასკნელი პატივი ეცათ იმისთვის. მიდიოდნენ და გზა-გზა ლაპარაკობდნენ ერთმანეთში: ვინ გადაგვიგორებს ლოდს, რომლითაც დახშულია ისოს საფლავი? მა ფიქრი აწუხებდათ იმათ: არ იცოდნენ, რომ ქვა გადებრუნებული იყო ისოს საფლავის კარიდან. ეს იქნა ამ ნაირათ: მოხდა მიწისძვრა, გადმოვრდა ზეცილამ ბრწყინვალე ანგელოზი უფლისა, გადაგორა ლოდი და დასჯდა იმა-ზედ. შეძრწუნებული ყარაულები დაეცნენ პირქვე მკედრებივით და, როცა გონებაზედ მოვიდნენ, გაიქცნენ.

მოვიდნენ მენელსაცხებელნი დედანი საფლავზედ და იმათ დახვდათ ქვა გადაგორებული, საფლავის კარი ღია. შევიდნენ საფლავში და გაჰკვირდნენ: ისოს გვამის მაგივრად დაინახეს თეთრით მოსილი ანგელოზი, რომელიც იჯდა საფლავში მარჯენივ. მარიამ

მაგდალინელი მაშინვე დაბრუნდა უკან, მიიბრინა პეტრესთან და იოანესთან და უამბო: აუღიათ უფალი ჩემი საფლავიდან და არ ვიცი, სად წაუღიათ ის. სხვა დედანი ისევ საფლავთან დარჩნენ. ანგელოსმა ახარა რმთ: რას ეძებთ ცოცხალს მკვდართა შორის? აქ აღარ არის ის: აღსდგა მკვდრებით! გაიხსენეთ, რა ჰბოძა მან, როდესაც ჯერ ბალილიაშივე იყო; იმან სთქვა: ძე კაცისა მიეცემა ცოდვილებს, ჯერ-ცმულ იქნება იმთგან და აღსდგება მესამე დღეს. აი ადგილიც, სადაც ესვენა ის. წადით, ახარეთ იმის მოწოდებებს ეს ამბავი. მენელსაცხებელნი დედანი განცვიფრებულნი და გაბარებულნი დაბრუნდნენ უკან.

პეტრე და იოანე, რომელ მარიამ მაგდალინელმა მოუტანა ძრისტეს აღდგომის ამბავი, მაშინვე გაიქცნენ იესოს საფლავისაკენ. იოანე უფრო ადრე მივიდა, საიხედა ჩაფლავში, დაინახა იქ მარტო სახვევლები, რომლებითაც შეხვეული იყო გვამი მეუფისა, შეკრთა და უკან დაიწა. მოვიდა პეტრეც; ის შევიდა საფლავში და ნახა: იესოს გვამი აღარ იყო იქ, სუდარი, რომლითაც გვამი იყო შეხვეული, დაკეცილი ეწყო თავ-თავის ადგილას. იმას შეჰყვა საფლავში იოანეც და ნახა ის, რაც პეტრემ. ძრიელ გაჰკვირდნენ. ბამოვიდნენ საფლავიდან და ჩაფიქრებულები დაბრუნდნენ შინ.

მარიამ მაგდალინელმაც ისევ მოიბრინა საფლავთან, შეიხედა იმაში და ერთის მაგივრად ეხლა ორა ანგელოზი დაინახა, რომელნიც ისდნენ ერთი თავით და მეორე ფეხით იმ ადგილს, სადაც ესვენა გვამი იესოსი. ანგელოსმა ჰკითხა: რადა სტირი, დედა-კაცო? აუღიათ უფალი ჩემი, მიუკო მაგდალინელმა, და არ ვიცი, სად დაუსვენებიათ ის. მხლამარიამს გამოეცხადა თვითონ იესო და ჰკითხა: რას სტირი, დედა-კაცო, ვის ეძიებ? დარღით მოცული და თვალ ცრემლიანი მაგდალინელი არ დააკვირდა იესოს, ვერ იცნა ის, იმას მებაღე ეგონა და უთხრა: თუ შენ წაიღე უფალი ჩემი, მითხარ, სად დაასვენე და მე ისევ წამოვიღებ იმას. მაცხოვარმა წარმოსთქვა: «მარიამ!» მარიამმა იცნო თავის ღვთაებური მოძღვარის ხმა, გოაცებული ჩააკვირდა იმას და დაეცა მიწაზედ მეუფის მუხლებზედ მოსახვეწებლად. მაცხოვარმა შეაყენა ის და უთხრა: ნუ შემეხები—ჯერ არ ავმალლებულვარ მამისათნა ჩემისა; წადი ჩემს ძმებთან და ამცნე: ავმალდები მამისა ჩემისათნა და მამისა თქვენისა თანა, ღმრთისა ჩემისა თანა და ღმრთისა თქვენისა თანა. სიხარულით აღტაცებული მაგდალინელი გვეშურა მოციქულებთან

სახარებლად. მზაედ მოეწია სხვა მენელსაცხებელ დედათა. დაიწყეს მ.ჯელობა ამ საკვირველ ამბავზედ. აქ, გზაზედ ძრისტე გამოეცხადა ყველას ერთად და უთხრა: წადით, უთხარით ჩემს ძმებს, რომ ისინი წაიღნენ ბალილიაში და იქა მნახვენ მე. მენელსაცხებელნი დედანი მოვიდნენ იერუსალიმში და ახარეს იესოს მოწაფეებს ყველაფერი, რაც ნახეს და გაიგონეს.

ძრისტეს აღდგომის ამბავი მივიდა იერუსალიმში, იმის მტრებთანაც: ყარაულები, რომლებიც იესოს საფლავსა სციდნენ, მივიდნენ შეშინებულნი იერუსალიმში და ყველაფერი უამბეს მღვდელ-მთავართა. ისინი განჰკრთნენ და შეშინდნენ. ბასაჯეს საქმე, გადაწყვიტეს ყარაულების მოსყიდვა, მისცეს იმათ ქრთამი და დაარიგეს გვევრცელებინათ ტყუილი ხმა: გვამი მისმა მოწაფეებმა მოიპარეს, როდესაც ჩვენ გვეძინაო. მაგრამ ამისთანა მანქანება ევლარ ღაფარადა იესოს იესოს ბრწყინვალე აღდგომას. მხემ ცხოვრებისამ აღმოანათა და განა შესაძლო იყო მისი ელვარების დაფარვა?

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს ღ გ ა !

ძრისტე აღსდგა! ამ სიტყვაში იხატება საფუძველი, არსება ჩვენის წმიდის სარწმუნოებისა, სიმტკიცე ჩვენის სასოებისა, ჩვენის იმედისა, დაუშრეტელი წყარო საუკუნო სიხარულისა და ნეტარებისა. აღსდგა ძრისტე და მაშასადამე, მხეგრული ჩვენთვის ჯვარზედ შეწირული ძისაგან ღვთისა, მიიღო სუნნადსუნნებლად მამამან ზეცათამან, თორემ, როგორ აღსდგებოდა იესო საფლავიდან დადებით? წყევა ცოდვისათვის პირველ მშობელთა, რომელს ევმონებოდით ჩვენ, განქარდა და ჩვენ განთავისუფლდით მისგან; თუ არა, როგორ განთავისუფლდებოდა მტვითველი ცოდვითა ჩვენთა ტარიგი ღვთისა სიკვდილისაგან? დაირღვა ზღუდე, რომელი განგვაშორებდა ღვთისაგან, გაიღო კარი მოწყალებისა მისისა; თუ არა, როგორ შევიდოდა წინამორბედი ჩვენი ღმერთ-კაცი ხელთ-უქმნელ წმიდათა წმიდათაში, თვით ცაში, «ჩვენებად პირსა ღვთისა ჩვენთვის?» (ებრ. 9, 24)». უფალი ჩვენი იესო ძრისტე მოკვდა ცოდვითა ჩვენთათვის და აღსდგა განმართლებისა ჩვენისათვის (რომაელ. 4 25). პრავინ დაისჯების მათგანი, რომელნი შეუდგებიან ძრისტესა. ღმერთი არის ბანმანათლებელი ჩვენი და ვინლა დაგვსჯის ჩვენ? ძრისტე იესო, რომელი მოკვდა,

უფროსა აღსდგა, რომელი იგი არს მარჯვენით ღეთისა, მეოხე არს ჩვენთვის და რადღა უნდა ვიზიშვილეთ ბნელისაგან (რომ. 8, 34)...

მჩრსტე აღსდგა! და მაშასადამე შეიმოსრა ისარი სიკედი ღისა, დაირღვა საჩარელი სამფლობელო მისი. აწ აღარავის შეუძლია სთქვა: არაფერ ა' ის აღმოს. რული ჯოჯოხეთისაგან (სიბ. სოლ. 2, 1) მჩრსტე მეუფე ჩვენი გამოვიდა ჯოჯოხეთიდან, აღმოზრწყინდა საფლავიდან! აღსდგა მჩრსტე და დაირღვა სამფლობელო ეშმაკისა, დაეცა უფლება მისი; «აწ მთავარი იგი ამის სოფლისა განვარდეს გარე» (იოან. 12, 31)

მჩრსტე აღსდგა! და, მაშასადამე, კარნი სასუფეველისა განხმულ არიან აწ ყოველთათვის; ქერუბიმი აღარ სცავს იმას მორწმუნეთათვის: მახილი ცეცხლისა ვერ წინაღუდგება ჯვარსა მაცხოვრისასა. თვით გვეტყვის მეუფე: «ნუ შეძრ წუნდებიან გულნი თქვენი; გრწმენინ ღეთისა და გრწმენინ ჩემდა მომართ. სახლსა მამისა ჩემისა საფანე მრავალ არიან; უკეთუ არა, გარქუმცა თქვენ: მე წარვიდე და განგიშადო თქვენ აღდგლი. და უკეთუ წარვიდე და განგიშადო თქვენ აღდგლი, კვლად მოვიდე და წარგიყვანე თქვენ თავისა ჩემისა თანა, რათა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქვენ იყვნეთ (იოან. 18) 14, 1—3)». ამ გვარად გზა მჩრსტეს ჯვარისა არის გზა ქვეშარიტი და მხოლოდ საუკუნო დიდებისა და ნეტარებისადმი. მოველივე ჟამიერი ჟამიერი და წამიერად გაივლის, განჰქრება, ყოველივე სამარადისო საუკუნოა და არაოდეს არ დასრულდება: ყოველივე ქვეყნიური დარჩება ქვეყანაზედვე, საფლავს იგეთ ყოველივე სულიერი და უბილავი გაგვყვება საფლავს იქითაც, თან გვყვება საიქიო ცხოვრებაში.

მსე არს ღღე, რომელ ჰქმნა უფალმა: მან ყოვლად ძლიერმა ჰქმნა, აღმოაჩინა სიმრავლე მადლისა იქ, სადაც იყო სიმრავლე ცოდვისა, თვით სასჯელი გარდაჰქმნა საღსრად ცხოვრებისა; მან სიკედილისა და ხრწნილებისაგან გამოაგლინა წყარო უკვდავებისა, გახსნა ცა დახშული ცოდვითა ჩვენთაგან და დახსნა განხმული უფსკრული ჯოჯოხეთისა! «ესე არს ღღე, რომელ ემნა უფალმან, ვინარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა!» (ფსალ. 117, 24).—

სიკედილი მართლისა.

პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალისადმი.

(ღუგენდარული მოხრობა).

კლავდია პროკულის ფულგია გერ-სილისადმი მოკითხვა.

შენა მთხოვ, ჩემო გულთაღო მეგობარო, ადგი წერო შენ უოველივე ის, რაც მოხდა იმ დღიდან, როდესაც ჩვენ ერთიერთმანგანთს დავკოვრდით. ზოგიერთმა ამბავებმა აღბად მოახწია თქვენადის და ეს საიდუმლოება, რომელთაც ეს ამბავი გარემოცულ არაინ, გაწუხებენ შენ, რომ მე რაიმე უბედურება არ შემემთხვეს. ვასრულებ თქვენს თხოვნას და ვცდილობ მოგიგონო უკვალ ის შემთხვევები, რომელნიც მე გადამსდა თავზე ჩემს ცხოვრებაში. შეამლება ამ დღეკალბაშა შენ შესვდე ისეთ ამბავებსაც, რომელნიც შენ გავაცხადებენ, მაგრამ მოიგონე, რომ უმადლეს შემოქმედებით ძალას დაფარული აქვს უსილავი ახრდილით ჩვენი დაბადება, ცხოვრება და სიკედილი, და რომ სუსტ და მომაკვდავ არსებათ არ ძალუძსთ შეიტყონ საიდუმლოება მათი სვებედისა.

მე არ აღვიწერ შენ ჩემი ცხოვრების პირველ ხანას, რომელნიც ასე მშვიდობიანად განვლო ნაზბონში ჩემი მშობლების ოჯახში და შენი მეგობრობის მფარველობასა ქვეშე შენ იფი, რომ მე თქვესმეტი წლისა ვიყავ, როცა ცოლად გავეყვი რომელიც, რომელსაც სახელად პონტიქიას; იგი არის შთამომავალი ძველი და გამაჩენილი გვარულობისა, რომელსაც იმ დროს იბერიაში ეკავა შესანიშნავი ადმინისტრატორული ადგილი. როგორც კი გამავედით ტაშიდამ, მამინეკ უნდა წავსულიყვი ჩემს მეუღლესთან ერთად მარაში, რომელიც მას ჰქონდა ნაზარეტული. არ მასროდა, მაგრამ არც კი ისე შეზარებულა ჩემი მეუღლის გულა, რომელიც მე თავის წაოვანებით მამთ შემეფერებოდა... მე მხოლოდ მაწუხებდა თქვენი მოშორება, მამის სახლისა, ჩემი სამშობლო სოფლისა არემარესი, მშვენიერი ძეგლებისა და ჩემი სამშობლოსი მშვენიერი ტალებისა, უოველივე ამას მე ვკითხოვობოდი თვალ ცრემლდანი. პირველი წლები მე მშვიდობიანად გავატარე ჩემს მეუღლესთან; დიქრება მომცა მე ვაჟი; ის ჩემთვის დღის სინთლეყდაც უმადლესი იყო; მე განწილებული მქონდა დრო როგორც ჩემ მოკვლეობათა აღსასრულებად, ისე დროების გასატარებად, რომელიც კი შეჭფერის ქალს.

ჩემი ვაჟი იყო ხუთი წლისა, როდესაც პონტი, ამპერატორის განსაკუთრებული მოწველებით, დანიშნულ იქმნა იუდეაში კონსულის მოადგილედ. ჩვენ ჩვენი მოსამსახურებით წავედით მშვენიერი გზით; მე შევკსტფობილდი ამ მდიდარს და მოსაკლავს მხარეს, რომელიც



საქართველოს ისტორია

საქართველოს ისტორია
საქართველოს ისტორია
საქართველოს ისტორია



საღვთოა ქრისტესი.

საღვთოა ქრისტესი
საღვთოა ქრისტესი
საღვთოა ქრისტესი

საღვთოა ქრისტესი
საღვთოა ქრისტესი
საღვთოა ქრისტესი

უნდა ემართა ჩემს ქმარს რომის სახელით. იერუსალიმში დიდ პატივსა მცემდენ, მაგრამ მე სულ გარდაკვეთილი ვცხოვრობდი, რადგან უჩივებს, ეჭიანებს და თავმოყვარეთ, სძულთ უცხო ქვეყნელი კერპთაყვანის მცემელი, როგორც ისინი გვეძიან ჩვენ; ურბები თქმულენ, რომ ჩვენ ვითრამ ჩვენი აქ უფროსი გაუწმენდურებით წმინდა ადგილს, რომელიც მისცა მათ სამუდამოდ მათი წინა-პრების დემონთს. მე გატარებდი დროს ჩემს ბავშვთან ჩემს ბაღებში, სადაც მიწისინი (მცენარეა) გადასხეული იყო ფურსტულთან, სადაც მშვენიერი სწორი ბზის სეპები, უმშვენიერესნი დელისის ბზის სეპებზე, საზოგადო უვადლოვან ნარინჯის ღებოწეულები შორის; იქ, ამ მშვენიერ ჩრდილ ქვეშ, მე გჭარბავდა სოფელ საკერ-თხველზე გადასაფარებლს, ან და ვკითხულობდი სოფელ ვიკტილიას ლექსებს, რომლებიც ასე ატებობენ სმენას და უმეტეს გულს. ჩემს მეუღლეს, თითქმის მოცალეობა აწა ქქონდა, რომ ჩემთან დარჩენილიყო და ეხასნა რამეს, ის მეუღლე დაფარებული და მოწუნილი იყო: თუმიცა იგი მტკიცე სასათის კაცი იყო, მაგრამ მაინც უჭირდა მოძრაობაში ჭეოლოდა ეს ხალხი, რომელიც წინათ დამოუკიდებელი იყო, ეს ბუნებით საზიზღარი ხალხი რომდენიმე ათას წყლებლების დასად იყო დაცლავებული, მაგრამ ვეღა ეს დასება ერთდებოდენ ერთ შემოხვევაში—თვითიუღს მათგანს სძულდა რომის სახელი. მსოფლოდ იერუსალიმის ერთ ოჯახსაბას ქქონდა ჩემთან ცოტადენი მეგობრული განწყობილება; ამ ოჯახის უმფროსი კაცი უჩივების სამელოცველოის უმფროსი იყო. მე დიდად ვსიამოვნებდი სოფელ მისი ქველ მოქმედის დამშვიდობიანი ხასიათის მექონე მეუღლის სალომისა და იმათი სუფარული და მშვენიერი თარბეტი წლის ქალის სემიდას ნახვით, რომელსაც, როგორც უვადო საზრისა, ამშვენებდა ხუჭუჭი თმა... ხან-დის-ხან ისინი ეხასხებოდენ სოფელ მე თავიანთ მამა-პაპათა დემონთზე, მიკითხვდნენ სოფელ თავიანთ სამღვთო წიგნებდამ ზოგიერთ ადგილებს... იცო, რა გითხრა შენ, ფუღვან? როცა მოვიგონებდი იაზობის უხედასი ღვთის დადების, რომელიც მესმოდა მე სალომისა შიშისაგან, და რომელიც აწის მსოფლოდ ერთი დემონთი, სულა, საუგუნო, მაშვად-მელი ვნებათა და ცოდვებისაგან, რომელთაც ჩვენ ასე ხშირად უწოდებთ ღვთის სასელებს ჩვენს საკურთხეველებზე, დემონთი მოწყლე, უოვლად შემდეგ, შემავრთებული ძალა და მოწყლებათა, სიწმიდისა და დიდებისა, როცა მოვიგონებდი სემიდას ხმას, რომელიც მესმოდა ჩანგის ხმასთან ერთად, როცა ის აჯალობებდა საღვთო საგალობლების, იხრიალების დიდი მეფისაგან დაწერილს, მეც ვსტდილობდი სოფელ ამ საგალობელთა დაკვრას ჩემს

ხანგზე; ეს საგალობლები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდნ ჩემზე, რომ მე, როცა მარტო დავრჩებოდი სოფელ ჩემი ვაჟის აკანთან, დავიჩივებდი სოფელ და, ჩემდა უნებურათ, ვევედრებოდი იმ დემონთს, რომელსაც ასე ემარჩილება უოველივე, როგორც მონა თავის ბატონს და ამ ვედრების შემდეგ მე უოველთვის ვდგებოდი გამხევეული და ნუგემ ნაცემა.

რომდენიმე ხნის შემდეგ სემიდა ავად განდა. ერთ დილაზე, როცა გამოვიღვიძე, მე მითხრეს, რომ სემიდა გარდაიცვალა, უწყალებლად და დედის გულში ჩახუტებულია. ამ სამწუხარო ამბავს თავსარი დამცა, მე ხელი წამოვავლე ჩემს ვაჟს და გვეჩქარე სალომისთან, რომ მასთან ერთად ჩვენც გვეტირა. როცა იმ ქუჩაში გავედით, რომელზედაც ეს ოჯახობა სცხოვრებდა, ჩემი მსუბუქობა ძლივს-ძლივობით აპობდენ გზას, რადგან სალამურის დამეკრეფი, მგალობლები და ხალხის დიდ ძალი გროვა ეხვია სახლს გარეშე. როცა სახლის შესაგაღთან გავჩენდი, მე შევნიშნე, რომ სახლის გროვამ გაიწ-გამოაწია და გზა დაუტოვა მომავალთ, რომელთაც სახლი უცქერდა გაკვირვებით და გულითადი სიამოვნებით. ამ გროვაში ვიკვლავდ შევნიშნე მე სემიდას მამა, მაგრამ მის მშვენიერ შიშის სასეზე მოწყარების მაგიერ, რომელსაც მე მეტონა შევნიშნავდი, გამოხატული იყო ღრმა რწმუნება და რაღაც გასაოცარი იმედი, რომელიც ჩემთვის გაუგებარი იყო; მას გვერდით მოჭეუბოდა სამი კაცი, ღრბულად ჩადმულები, მათ შემდეგ გრძელს სამოსელში გამოხეველი, მოდიოდა კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზდა იყო. მე შევაჭყიტე მას თვალები, მაგრამ უცებ მოვაშორე, თითქო მზის შუქი იყო და თვალები ვერ გაუჩნე; მე მეტონა, რომ მისი შუბლი განათებული იყო, რომ გვიკვირის მზგახსი შუქები ანათებდენ მის გრძელ თმას, რომელიც მსრბზე ეყარა, როგორც ნახარეთის მვედრთა. ან შემიძლია აღვიწერო შენ ის შთაბეჭდილება, რომელიც მე ვიკმენე, როცა ამ უცხო კაცს შევხედე. იმან საოცარად მიმიზიდა, რადგან უოველ მის მისხა მოსრაში ისატებოდა გამოუთქმელი რიტებობა, და საიდუმლო საშინელება, მისი თვალები ელვარებდენ და ამ ელვარებაში მე ვინაღამ გამაქრო. მე გავეყვი მას და ან ვიცოდა ვი, სად მივდიოდი. კარები გაიღო და მე დავინახე სემიდა: იგი ესვენა ცხედარზე და გაწს ერთო ღამეობა და სუნელავანებისა; სემიდას კი-დეკ ეტუობოდა სიღამაზე, მის შიშის სასეზე ისატებოდა რაღაც ციუჩი სიმშვიდე, მაგრამ მისა შუბლი უევითლესი იყო ზამბახსედაც, რომელიც ბლამად ეყარა მის ფერსთა ქვეშე. საკვდილის მოღუწვო თითს და-

ქმინა სემიდას ჩაგადნაღ ღოუებზე და მის დამტყნარ ტუჩებზე თავისი კეჭი. სალომის იჯდა თავის ქალის მხლობლად გაქვავებული, თითქო გრძნობა დაუგარგავსო; იგი, თითქო გერგებდაგდა ჩვენ. აიროზი, მამა ახალ-გაზდა ქალისა, დავარდა უცნობ კაცის ფეხსთა წინაშე, იგი გაჩერებული იყო ქვეშატებულთან; აიროზმა ანიშნა მას მიცვალებულზე და დაიყუინა: «უფალო, ჩემი ქალი უკვე გარდაიცვალა! მაგრამ, თუ შენ მოინდომებ, იგი ისევ გაცოცხლდება!»

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მე განკალი და-ვიწყე, ჩემი გული თითქმის მთლად მიიზიდა იმ უცნობის კაცის მოძრაობამ. მინ აღლო სემიდას სელი, მიმართა მიცვალებულს თავისი საკვირველი მხედველობა, და წარმოთქვა: «აღსდგე, შეიღო ჩემო!»

ფუღვია! სემიდა თითქო დაკომრჩილა ამ ხმას! იგი წამოჯდა თავის ცხედარზე, თითქო რაღაცა უხილავ სელს ეკავა იგი, თვალები გაახილა, სინდონის ფეხი ხელსაღად გამოჩნდა მის ბატეებზე, მან გაიშვირა სელები და დაიყუინა: «დედა!» ამ უკირილმა გამოაფხიზლა გაქვავებული სალომის, დედა და ქალიშვილი ჩაეკრენ ერთი ერთმანეთს, აიროზი კი, დავარდა მიწაზე და ჭკოცნიდა იმას სამოსლის ბოლოს, ვისაც მან უწოდა მასწავლებელი და იმეორებდა: «როგორ უნდა მოვიქცე, რომ შენ გამოსსურო და მივიღო ცხოვრება საუკუნო?»

— ისწავლე და აღსრულე ორა მცნება სჯულისა, გიყვარდეს ღმერთი და მოყვას!»

ეს სიტყვა, თუ არა, იგი გაჭჭრა ჩემი მხედველობისაგან, როგორც კიერი და ბრწყინვალე არჩდილი. მე მუხლ მოუჩილი ვიყავ, არ ვიცი გი რად; მეგონა თითქო ძილისაგან გამოვიღვიძე; ბოლოს დავბრუნდი სახლში. მთელი ოჯახი ისეთი გახარებული იყო, რომ ამ მხიარულების აღწერა კალმით არ შეიძლება. საღამოს, როცა მე და ჩემი მეუღლე სტოლს უსხედით, მე ვუამბე ზონტის ყოველივე ის, რისაც მოწამე ვიყავი, ამან ჩადუნა თავი და სიტყვა: «შენ გინახავს იესო ნაზარეტელი; იგი სძულთ ფაჩისეველებს, სადუგეველებს, იროდაის მომხრეთ და თავმოყვარე ლევიტელებს; ეს მძულვარება დღითი-დღე მატულობს, უნდათ როგორმე ჯავრა ამოიყარონ მასზე, მაგრამ ნაზარეტელი არაფერში დამნაშავე არ არის, მისი სიტყვები არიან სიტყვანი ბრძნისა და მისი სასწაულები — სასწაულები ჭეშმარიტისა ღვთისა».

— რატომ სძულთ მათ იგი?

— იმიტომ, რომ იგი ამხილებს მათ ცოდვებს და ფარისეულობას. მე ერთხელ ამ ნაზარეტელის პარისაგან შემიდეგი სიტყვები გავიგონე: «თქვენ ხართ საფლავნი გან-

გოზილნი, რომელნი ჰხიანელ გარეშე მშვენებენ, ხოლო შინაგან საცხე ძელებითა შეცდართა და ყოველთა არა წმიდებითა, გველნო ნაშობნო იქედეთნო, რაჟა მან ფარისეველთა, — რომელნი დახდენ ტვირთ მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითოთაცა მათთა არა უნებნ შეძერად იგი; თქვენ იხდით ათეულისა პიტნისასა და ცერცოსასა, ხოლო დაგიტოვებდით უმძიმესი სჯულისთა სამართალი, და წალობა და სარწმუნოება».

ამ სიტყვების აზრი მეტად დრმა და ჭეშმარიტის; ეს სიტყვები აზრებენ ამ ამაჟ სალს და ამიტომ ძალიან ცუდი ხვედრი მოკლის ნაზარეტელს!

— შენ ხომ დაიფარავ მას, — გვითხე მე ჩემს მეუღლეს, — შენ აქ სრული უფლება გაქვს!

— რა უფლებაა ჩემი უფლება ამ მკამბოხს და ბოროტი ხალხის წინაშე... მე ძალიან სამწუხაროდ დამრჩება; თუ იმულებულ ვიქნები დავსთხო სისხლი ამ ბრძენი კაცისა.

სიტყვა ეს სიტყვები თუ არა, ზონტი ადგა და გავიდა ოთახიდან მეტად დაფიქრებული; მე დავრჩი მეტად დაღვრემილი და მწუხარე.

ზასექის დღე ახლოვდებოდა. უჩიების ამ შესანიშნავს დღესასწაულზე იერუსალიმში დიდ ძალი სალხი იკრიბებოდა ყოველი კუთხიდან, მსხვერპლის შესაწირავად.

ხუთშაბათს ზასექის წინა დღეს, ზონტიმ მწუხარებით მიითხრა მე:

— იესო ნაზარეტელის მდგომარეობა ძალიან საშინაოა, მისმა მტრებმა ფული გაიღეს, რომ იგი ჩაგდონ სკლში და დღესვე საღამოს შეიძლება იგი მასტონ მდგდელ-მთავრებს. როცა ამ სიტყვებს ამბობდა ზონტი, მე მთლად ავბიტივდი და ხელსაღვ გავიმეორე:

— მაგრამ შენ ხომ დაიფარავ მას?

— განა მე ეს შემიძლია? — მიითხრა ზონტიმ დაღვრემილი სახით; — სვედრი, რომელიც ზღატონმა უწინასწარ-მეტყველა თავის გონებაში წარმოდგენილს მართალ კაცს, გგონებ იესოს მოკლის: მას დაუწევებ დევნას, ღალატით გასცემენ, და გადაუწვევტენ სასტიკი სიკვდილით დასჯას... აი ამ გვარად ღმერთები დასცინიან მოპაველავ კაცთა სასუსტეს.

დადგა მოსვენების დრო, მაგრამ დაგდები თავი ბალიშზე თუ არა, ჩემი გონება აღივსო სხვადასხვა საიდუმლო საზნაობით. მე ვიხილე იესო, ვიხილე იგი იმ სახით, როგორი სახითაც ამიწერა მე საღამომამ თავის ღმერთი: მისი შირის სასე ბრწყინავდა, როგორც მზე,

იგი დაფრინავდა ფრთათაშედა ქებადითა, რომელიც
აიან ნამდვილი ადამსრულებელი მის ბრძანებათ; იგი
შეჩრდა დრუებში, მე წამოდიდა თვალწინ, რომ
მის უნდა გაემსახურებოდა შთამომავალი ხალხთა, შეკრე-
ბილი მის ფეხსთა წინაშე. თავის მარჯვენის ნიშნებით,
იგი ჭეოფდა კეთილთ ბოროტთაგან; პირველი მიიღო-
ტოდენ მისკენ, ბრწყინავდა ღვთიური ბრწყინვალებით;
ხოლო უკანასკნელი ვარდებოდნენ ტეტელში, რომელ-
თან შედარებით აზოვრია ტეტელი ერეკისა და ფელემ-
ტონისა და როცა მსჯეული უჩვენებდა მათ თავის სსე-
ულის წელსუთაჲდა, ეუბნებოდა მათ ქუხილის მზაკ-
სი სმით: «მომიწოდეთ სისხლი, რომელიც მე დავანთ-
ხე თქვენთვის! მაშინ ეს უბედურნი სთხოვდნენ მთებს,
ათა მათ დაეფარა ისინი და მიწას, ათა ჩაეფარა იგი-
ნი... მაგრამ მათ ვერაფერი შეელოდა წვალებისა და
უბედურებისაგან... ოჲ! რა სიზმარია, ანუ უკეთა ვსთქვათ,
რა გამოცხადება!

(გაგმქვება იქნება).

საეკლესიო კითხვების განმარტება.

I.

წელს ჩვენი გამოცემის პირველს №-ში ერთი
პატივცემული სასულიერო პირის თხოვნით ჩვენ განე-
მარტეთ შემდეგი საეკლესიო კითხვა: შეუძლია თუ არა
თეოროსანი სამღვდელთაჲს პირს, რომელსაც მიტრა
აქვს ნაბოძები, მღვდელ-მოქმედების დროს დადგეს ა-
რქიმანდრიტის წინ?

მს საეკლესიო კითხვა ჩვენის მხრით საკმაოდ გან-
მარტეთ და აღვნიშნეთ, რომ თეოროსან სამღვდე-
ლო პირს, მიტრის მქონებელს, არა აქვს უფლება
დადგეს არქიმანდრიტის წინ; მასთან ჩვენ გამოე-
სტევიტ სურვილი, რომ ამ კითხვის შესახებ თავისი
აზრი გამოეთქვას «Руководство для сельских пасты-
рей»-ს და «საეკლესიო მხარებელი»-ს რედაქტორებს.

დღეს ამ საეკლესიო კითხვის შესახებ სასულიერო
ყურნალის «Руководство для сельских пастырей»-
ში ჩვენ ეკითხულობთ შემდეგს: «ამას წინაჲ გაზეთ
«მწყემსი»-ს რედაქციას სთხოვეს ერთი საეკლესიო კი-
თხვის განმარტება. «მწყემსი»-ს რედაქციამ გამოაცხადა,
რომ თეოროსან სამღვდელთაჲს პირს, მიტრის მქონებელს,

არა აქვს უფლება არქიმანდრიტის წინ დაუდგეს მღვდელ-
მოქმედების დროს, და ამის დასამტკიცებლად პატივ-
ცემულმა რედაქციამ მოიყვანა ის წესი, რომელსაც
აღვია რუსეთის ეკლესია; მასთან აღვნიშნა, რომ მოს-
კოვში, მიძინების ტაძარში 6 მაისს და პეტერბურგში
ალექსანდრე ნეველის მონასტერში 9 მაისს და ისაკი-
ვის სობორში 15 მაისს 1887 წელსა მღვდელ-მოქ-
მედების დროს დამსახურებულ დეკანოზებზე, რომელთა
მიტრა ჰქონდათ, იდგენ არქიმანდრიტებიო. ამასთანავე
პატივცემულმა რედაქციამ გამოთქვა სურ-
ვილი, რომ ჩვენც ჩვენ ორგანოში გამოგვეთქვა ჩვენი
აზრი ამ კითხვის შესახებ. ჩვენ დიდის სიამოვნებით
ვასრულებთ პატივცემული ყურნალის «მწყემსი»-ს
რედაქციის სურვილს და მოგვყავს ზოგიერთი ცნო-
ბები ეკლესიურ დადგენილობათგან შესახებ კითხვი-
სა, შეუძლია თუ არა თეოროსანი სამღვდელთაჲს პირს,
მიტრის მქონებელს, მღვდელ-მოქმედების დროს დადგეს
არქიმანდრიტის წინ. 1809 წელში 30 ნოემბერს გა-
მოიცა უქაზი, რომლის პირველ მუხლში მოხსენებუ-
ლი იყო: როცა ხელმწიფის სასახლის საკრებულო
ტაძარში იქნება პარაკლისი მათი იმპერატორებითი
უდიდებულესობის თანადასწრებით, ნოვგოროდის და
პეტერბურგის მიტრაპოლიტა დადგეს სამეფურო კარების
პირ-და-პირ, ხოლო დანარჩენი მღვდელ-მთავრებში, უმ-
ფროსები დადგნენ მარჯვნივ, ხოლო უნცროსები მარცხ-
ნივ; მთავარ დაიკენები თანასწორი რიცხვით უნდა ჩარიგ-
დნენ მღვდელ-მთავრების უკან. მღვდლებში მარჯვნივ
პირველი ადგილი დაიკავს მათი იმპერატორებითი
უდიდებულესობის მოძღვარმა, ხოლო მის შემდეგ
დადგნენ არქიმანდრიტები; უმფროსი მღვდელი (ober-
священник) დადგეს პირველი ხარისხის მონასტრების არ-
ქიმანდრიტების რიგზე. სასახლის სობორს მღვდლებმა
დაიჭირონ პირველი ადგილი არქიმანდრიტების შემდეგ,
შემდეგ დადგეს პეტრე პავლეს სობორის დეკანოზი,
მის შემდეგ სასახლის სხვა ეკლესიების მღვდლები
და ბოლოს სხვა ეკლესიების დეკანოზები და მღვდლე-
ნი. მამასადამე 30 ნოემბრის 1809 წლის უქაზისა-
გან ჩანს, რომ მღვდელ-მოქმედების დროს,
რომელიც სრულდება ხელმწიფის სასახლის სობორო-
ში და რომელზედაც ესწრებიან მათი იმპერატორები-
თი უდიდებულესობანი, მხოლოდ მათი იმპერატორე-
ბითი უდიდებულესობის მოძღვარს შეუძლია იდგეს
არქიმანდრიტების წინ, სხვა მღვდელ-მოსამსახურენი
თეოროსანი სამღვდელთაჲს, უნდა იდგნენ არქიმან-

დრიტების შემდეგ; უმჯუროსი მღვდელი (оверъ-священникъ) უნდა იღეს პირველ ხარისხის მონასტრების არქიმანდრიტების რიგზე. ამ წესს, რომელიც ნაჩვენებია უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან, აღგზან, როგორც გვიჩვენებს გამოცდილება, მღვდელ-მოსამსახურენი როგორც თეთროსანი ისე შავოსანი სამღვდელოებისა სხვა შემთხვევებშიაც და სხვა-და-სხვა ადგილს, როცა მათ ერთად მოუხდებოდათ ხოლმე მღვდელ-მოქმედების შესრულება.

II.

წიკვის რომელ მოქმედებაში არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავარ-დიაკონმა, რომელიც რომელიმე მიწისისა გამო მოუშადადებელი შეუდგება წიკვს?

ჩვენ არა გვაქვს არავითარიმე განსაზღვრული დადგენილობანი შესახებ მისა, თუ წიკვის რომელ მოქმედებაში შეუძლია, ანუ არ შეუძლია მონაწილეობის მიღება მთავარ-დიაკონს, როცა ის მოუშადადებულად შეუდგება წიკვს. აქედან წარმოსდგებიან ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა განმარტება საჭიროა მღვდელ-მოსამსახურეთათვის.

შველა ამ საეკლესიო კითხვების განსამარტებლად ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ დიაკონი, რომელიც თანამოსამსახურეა მღვდლისა ლეთის დიდს მღვდელ-მოქმედებაში-უსისხლო მსხვერპლის შეწირვაში, ვალდებულია აღჭურვილ იქმნეს უღრმესი თავმდაბლობით და მასთან უნდა გრძნობდეს თავის უღირსობას უფლის წმ. ტრაპეზის წინაშე. ამ გრძნობით და შეგნებით უნდა იქმნეს აღჭურვილი მთავარ-დიაკონი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ჯეროვანი მოუშადადებელი შეუდგება ხოლმე წიკვს. თუმცა ჩვენ წერილობითი სჯულებდანი არა გვაქვს ამ კითხვის შესახებ, მაგრამ თვით ჩვენი სინიღისი და ამ დიდი საიდუმლოს მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ მთავარ-დიაკონმა, წიკვისათვის ჯეროვანად მოუშადადებელმა, არ უნდა მიიღოს მონაწილეობა წიკვის ზოგიერთ მოქმედებაში და სახელდობრ: 1) იგი არ გამოდის მღვდელთან ერთად საუფლო კარებთან დასაწყისი ლოცვების წასაკითხად კვეთის დაწყებამდის; 2) არ დებულა ჩვეულებრივ კურთხევის მღვდლისგან «კურთხეულ არს»-სი წინ, მხოლოდ ჩუმიდ ამბობს:

«გვაკურთხე, მეუფეო»-ს და, როცა ლოცვა-კურთხევის იღებს მღვდლისგან, ეპთხევა მას ხელზე და გამოდის ამბიონზე «გვაკურთხე მეუფეო»-ს სათქმელად, ამბობს მღვდლისაგან და სხვ.; 3) დიდი შესვლის შემდეგ არ მიდის მღვდელთან, რომ მან ილოცოს მისთვის, აგრეთვე არც მღვდელი მიდის მასთან, რათა მან ილოცოს ამ უკანასკნელსათვის, არამედ იმავე სახით, როგორც წიკვს დაწყებამდის, გამოითხოვს კურთხევას და ამბობს: «გვაკურთხე მეუფეო»-ს და როცა მიიღებს უბრალო კურთხევას მღვდლისაგან, მიდის თავის ადგილზე სხვა მოქმედებათა აღსასრულებლად; 4) როცა მღვდელი ამბობს: «ძლევისა გალობისა» დიაკონი არ იღებს ეარსკვლავს, ამას ასრულებს თვით მღვდელი; 5) ამავე სახით წმ. ნაწილების კურთხევას დროს არ მიდის წმ. ტრაპეზთან და არ იღებს წმ. ნაწილებს «შენი შენთაგან»-ის თქმის დროს, მხოლოდ წმ. ნაწილების კურთხევის შემდეგ, «ღირსარსი»-ს გალობის დროს აქმევს; 6) არ მიდის ტრაპეზთან არც ზიარების დროს და არც მღვდლის ზიარების შემდეგ; არ ასვენებს წმ. ნაწილებს წმ. ბარძიში.

ბარდა ამისა, ზოგიერთ ადგილას ჯეროვანად მოუშადადებელ დიაკონს არ გამოაქვს წმიდა ნაწილები ზიარების შემდეგ და არც ამბობს: «შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით»-ს. ამ წესს, რომელიც შემოღებულია ერთხელე ჩვენი სინიღისისა და იმ დიდი მღვდელ-მოქმედების მიხედვით, როგორც არის უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, არ უნდა გადახდეს არც ერთი დიაკონი, რომელიც ჯეროვანად მოუშადადებელი შეუდგება ხოლმე წიკვს.

შ ი ნ ა ა წ ს ი: ოფიციალური ნაწილი: — განხილვანი უშიდესი სინოდისა სამღვდლოთა დაჯილდოება-ზე. — არა ოფიციალური ნაწილი: ახალი ზომები საქართველოს სამღვდლოების ნაყოფიერი მსახურებისა და მოქმედებისათვის მის მწვემსებრივ ასპარეზზე. — ქართლ-კახეთის სამღვდლოების გრება ქ. თბილისში. — მოსტეგებული გრდის ნაამბობი. — გეგასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო გრება. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სიტყვა. — ადგომა ქრისტესი. — მონტაჟი პილტეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. — საეკლესიო კითხვების განმარტება.